# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 4 აგვისტო, 2012 წელი.

№148 (7024)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## „ისინი გარშემომყოფთ საფრთხეს უქმნიან“



2

## რუსებმა „თელასი“ ნაცმოძრაობას დაუთმეს?!

## „მე ბანდასთან ხელშეკრულებებს არ ვაფორმებ!“

3

## ხელისუფლება, რომელიც სამართალზე არ დგას

4



## „თუ სააკაშვილი გადაწყვეტს, რომ რუსეთთან ახალი კავშირი მისთვის სასარგებლოა, საქართველო მასში ბელარუსზე ადრე შევა“

8

## ქართველ სპორტსმენთა ერთი ჯგუფის მიმართვა საზოგადოებისადმი

5

## „დააყადაღე პროკურატურა!“

## ჭიათურა – ეკოლოგიური კატასტროფის ზღვარზე



5





3

## ქვეყნის პირველი ლეიბორისტი ხალხის რისხვის ქარბორბალაში მოხვდა!..

**„იცნობდეთ ზონდერებს!“**

# „ისინი გარშემო-მყოფთ საფრთხეს უქმნიან“

**კოალიცია „ქართული ოცნების“ ახალგაზრდულმა ჯგუფმა გორში დაიწყო აქცია სახელწოდებით „იცნობდეთ ზონდერებს“. ახალგაზრდებმა იმ საჯარო მოხელეების ფოტოები დაბეჭდეს, რომლებიც მერეთის და კარალეთის დევნილთა დასახლებაში მომხდარ ინციდენტებში მონაწილეობდნენ.**

აქციის მონაწილეები ამ ფოტოებს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში არიგებენ და მოსახლეობას ეუბნებიან, რომ ამ საჯარო მოხელეებმა მშვიდობიანი აქციები დაარბიეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ ჟურნალისტებს. გორელებს პლაკატებზე გამოსახული ადამიანები ტელევიზორში ჰყავთ ნანახი.



კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი ლექსო ვალიაური აცხადებს, რომ ამ აქციით მათ სურთ, საზოგადოებამ გაიცნოს ის საჯარო მოხელეები, რომლებიც საფრთხეს ქმნიან გარშემომყოფებისთვის.

პლაკატის ცენტრში ყველაზე დიდი ადგილი ლიახვის ხეობის მაჟორიტარი დეპუტატის ბადრი ბასიშვილის ფოტოს უკავია, სხვა საჯარო მოხელეების ფოტოები კი მას ისრებით უკავშირდება. ბადრი ბასიშვილი რადიო თავისუფლებასთან საუბარში აცხადებს, რომ მის მიმართ „ქართული ოცნება“ შავ პიარს აგორებს და პლაკატებზე გამოსახული ადამიანების ნაწილს საერთოდ არ იცნობს.

კოალიციის ახალგაზრდული ჯგუფის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ გორის რაიონში ყველას გააცნობენ ეგრეთ წოდებული ზონდერების საქმეებს.

პირველი ინციდენტი 26 ივნისს გორის რაიონის სოფელ მერეთში კოალიციის ლიდერის ბიძინა ივანიშვილის სტუმრობისას მოხდა. აქციის ჩატარებას ხელს რეგიონის სამაშველო სამსახურის უფროსი კახა ლომიძე და მისი თანამშრომლები უშლიდნენ. შელაპარაკება ჩხუბში გადაიზარდა, დაშავდა არაერთი ადამიანი, მათ შორის ჟურნალისტები.

ყველაზე გახმაურებულ ინციდენტი 12 ივლისს კარალეთის დევნილთა დასახლებაში მოხდა, სადაც კოალიციის ლიდერებსა და ადგილობრივი მოსახლეობის მცირე ჯგუფს შორის შეხლა-შემოხლა იყო. ჩხუბის შემდეგ ხელისუფლების მომხრეებმა ოპოზიციის წარმომადგენლებს ქვები დაუშინეს. აქაც 15-მდე ადამიანი დაშავდა, სასტიკად გაუსწორდნენ იქ მყოფ ჟურნალისტებსაც. ამ ინციდენტში აქტიურობდნენ დასახლების მამასახლისები, ერედვის და ქურთის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები.

ამ ორივე ინციდენტის შემდეგ სამართალდამცავებმა ერთგვარი პარიტეტი დაიცვეს და ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენლები თანაბარი რაოდენობით დააკავეს. სასამართლომ მათ ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა. ყველა მათგანმა წინასწარი დაკავების იზოლატორი უკვე დატოვა.



**გოგა აფციაური,**
**რადიო „თავისუფლება“**

**SIC!**

# ხელისუფლების ახალი ხრიკი

## რატომ აპირებენ ამომრჩეველთა მეოთხედის „მოტეხას?“

**საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილი, რომლებიც საზღვარგარეთ არალეგალურად ცხოვრობენ, არჩევნებში მონაწილეობის მიღებას ვეღარ შეძლებენ, რადგან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, ამ კატეგორიის ადამიანებისთვის არჩევნებში მონაწილეობის პირობები გამკაცრდა.**

საქართველოს ფარგლებს გარეთ არალეგალურად მცხოვრებნაწილეობით საზღვარგარეთ ყოფნაში დამატებითი პრობლემები არ ექმნებოდათ.

ახლა კი ეს წესი იცვლება. ცვლილება შევიდა საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისა და საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2011 წლის ბრძანებაში, ცვლილების თანახმად, საქართველოს მოქალაქე ვალდებულია,



თა რაოდენობის შესახებ ზუსტი მონაცემები არ არსებობს, მაგრამ არის მოსაზრება, რომ მიახლოებითი გათვლებით ეს რიცხვი ერთ მილიონს უნდა აჭარბებდეს. თუკი იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ დღეს არსებული მონაცემებით, საქართველოში რეგისტრირებული ამომრჩევლების რიცხვი 3 მილიონ 565 ათასია, ამის მეოთხედზე მეტის საზღვარგარეთ ყოფნა ნიშნავს, რომ ეს ხმები ან პოტენციურად ხელისუფლების სასარგებლოდ იქნება გამოყენებული ან დაიკარგება.

საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები მოსახლეობა არჩევნებში მონაწილეობას იღებს საკონსულოების მიერ გახსნილ უბნებში. მონაწილეობისთვის კი აქამდე მხოლოდ რეგისტრაციის გავლა იყო საჭირო, მათ შორის იმათთვისაც, ვინც საზღვარგარეთ არალეგალურად იმყოფება. შესაბამისად, მათ არჩევნებში მოწარადგინოს ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, მაგრამ არალეგალურად მცხოვრები ადამიანები საცხოვრებელი ადგილიდან ცნობის მიტანას ვერ შეძლებენ, რათა იქ ყოფნისას პრობლემები არ შეექმნათ და ამის გამო არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. მეორე პრობლემა კი არის ის, რომ ვინც შეძლებს ამ ცნობის მიტანას, საელჩოებს უკვე მათი მისამართები ეცოდინებათ და შეძლებენ, მათი საარჩევნო გადაწყვეტილების მიღებაში ჩაერიონ.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე კი პირობას დებს, რომ „არც ერთი ისეთი ნორმატიული აქტი არ იქნება მიღებული, რომელიც რაიმე ფორმით პირს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას შეუზღუდავს“. თუმცა, ის იმასაც აღნიშნავს, რომ კონკრეტულად ამ ბრძანებას არ იცნობს.

**თეონა ხარაბაძე**

**რა ხდება?**

# რუსებმა „თელასი“ ნაცმოძრაობას დაუთმეს?!

**რა ხდება სააქციო საზოგადოება „თელასში“, ძნელი გასაანალიზებელია. კომპანია რუსული „ინტერ რაოს“ საკუთრებაა, არადა ნაციონალური მოძრაობა იქ სრულ საკადრო წმენდას ახორციელებს. ყველა ხელმძღვანელ თანამდებობაზე ნაცმოძრაობის კადრია დანიშნული ან მოაზრებული. „ინტერ რაო“ ამ ყველაფერს ოლიმპიური სიმშვიდით ხვდება. რუსების საკუთრებაში მყოფ კერძო კომპანიაში სააკაშვილის თანამებრძოლები რასაც უნდა იმას აკეთებენ. მოდი და ამის შემდეგ ნუ იფიქრებ, რომ რუსები და დღევანდელი ხელისუფლება ერთსა და იმავე პარტიას თამაშობს.**

სხვათა შორის, ასეთივე აზრი გაუჩნდათ „ქართულ ოცნებაში“,რომლის ახალგაზრდული ორგანიზაციის აქტივისტებმა კომპანია „თელასთან“ საპროტესტო აქცია-ბრიფინგი გამართეს და კომპანიიდან კვალიფიციური თანამშრომლების დათხოვნა გააპროტესტეს. როგორც აქცია-ბრიფინგზე კოალიცია „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ფაცაციამ განაცხადა, მას შემდეგ, რაც „თელასში“ დირექტორად შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორი ზურაბ არსოშვილი დაინიშნა, „თელასიდან“ 100 კვალიფიციური თანამშრომელი გაათავისუფლეს, ხოლო ვაკანტურ ადგილებზე მისი ახლობლები, ოჯახის წევრები და „ნაციონალური მოძრაობის“ კუნთმაგარი კადრები დაინიშნენ.

როგორც ფაცაციამ აქცია-ბრიფინგზე განაცხადა, ზურაბ არსოშვილი არა ქართველ ხალხს, არამედ რუსების ინტერესებს ატარებს, რადგან „თელასი“ რუსებს ეკუთვნის. მისი თქმით, როგორც არსოშვილი, ასევე ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის ინტერესების გამტარებელია.

ორი-სამი დღეა კომპანია „თელასში“ საკადრო წმენდა მიმდინარეობს. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ყოფილმა მოადგილემ და აწ უკვე სააქციო საზოგადოება „თელასის“ კომერციულმა დირექტორმა ზურაბ არსოშვილმა დედაქალაქის ყველა რაიონის უფროსს განცხადება დააწერინა და სამსახურიდან გაათავისუფლა.

გარდა ამისა, გავრცელებული ინფორმაციით, არსოშვილი აგვისტოს დასაწყისში კომპანიიდან რიგითი თანამშრომლების გაშვებასაც გეგმავს.

„წინასაარჩევნოდ, როცა პრემიერი და დასაქმების მინისტრი ამომრჩევლებს სამუშაო ადგილებს სთავაზობენ, არსოშვილი თანამშრომლებს სამსახურს მასობრივად ატოვებინებს“, - აცხადებენ კომპანიასთან დაახლოებული პირები.

თავად კომპანიაში კი სამსახურიდან თანამშრომლების მასობრივ გაშვებას არ ადასტურებენ. როგორც „ივერონს“ კომპანიის პრესსამსახურის წარმომადგენელმა ვალერი ფანცულაიამ განუცხადა, შეიძლება ზოგან თანამშრომლის გათავისუფლება მოხდა, თუმცა არა მასობრივად და საგანგაშოც არაფერია.

„ვინმეს დაწინაურება ან ერთი თანამშრომლის მეორეთი ჩანაცვლება ჩვეულებრივი პროცესია. თანამშრომლების გათავისუფლების შესახებ ინფორმაციას მაინც ვერ მოგცემთ, რადგან ეს კომპანიის შიდა ინფორმაციაა. საგანგაშო სიტუაცია ნამდვილად არ არის“, — აღნიშნა ფანცულაიამ.

„თელასის“ თანამშრომლები იტყობინებიან, რომ აბონენტთა მომსახურების ცენტრიდან, რომელიც ახმეტელის თეატრთან მდებარეობს, ხელმძღვანელობა შეიცვალა, რის გამოც იქ მომუშავე თანამშრომლებს პირადი განცხადების საფუძველზე ათავისუფლებენ.

**„როგორ შეიძლება მოგვინდეს პირადი განცხადების დაწერა, მაშინ, როცა უმრავლესობას ბანკებიდან კრედიტები გვაქვს გამოტანილი. ჩვენი საკითხი, ალბათ, ძალიან მალე გადაწყდება“,** — აცხადებენ „თელასის“ ავჭალის მომსახურების ცენტრის თანამშრომლები.




ავჭალის მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელიც, „თელასში“ ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე, ენერგეტიკის სამინისტროში მუშაობდა, ისევე როგორც თავად ზურაბ არსოშვილი.

„თუ არასწორად უშვებენ, შეუძლიათ სასამართლოს მიმართონ. პირადი განცხადების საფუძველზე თუ მიდის, რა შემიძლია გითხრათ. როგორ შეიძლება ადამიანს პირადი განცხადების დაწერა აიძულო? მასობრივად მათ გათავისუფლებას არ გიდასტურებთ. ჩვეულებრივი სამუშაო პროცესი მიმდინარეობს „თელასში“. თუ ხდება რამე გადაადგილება, ხდება კანონის ფარგლებში“, - სააქციო საზოგადოებიდან ასეთი კომენტარებიც ისმის.

არადა, სულ რამდენიმე კვირის წინ ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ „თელასი“ ბიძინა ივანიშვილმა შეიძინა (უფრო სწორად, რუსეთში არსებულ საკუთარ აქტივებში რუსებსვე გაუცვალაძ. ვინ და რა ჩაიგდო ხელში, ეს ძალიან მალე გამოჩნდება. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ენერგეტიკის სფეროში რუსები და ნაცმოძრაობა ერთმანეთთან შეთანხმებულ პოლიტიკას ატარებენ.

**გიორგი ბექაური**
For.ge

◎ პოლიტმეტრის ფეისბუქზე

# ქვეყნის პირველი ლეიბორისტი ხალხის რისხვის ქარბორბალაში მოხვდა!..

**2 აგვისტოს საღამოს ნინო ჟიჟილაშვილის პოლიტმეტრში ქვეყნის პირველი ლეიბორისტი შალვა ნათელაშვილი სტუმრობდა, წინასაარჩევნო ვითარებით აღშფოთებულმა შალვამ, როგორც იტყვიან, ცა და დედამიწა ერთმანეთს დააჯახა. ყველას მეხი და მედგარი დაატეხა, ვინც „ქვეყნისთვის გაწეული ამაგი არ დაუფასა სახალხო საქმისთვის ოფლგადამდინარ ლეიბორისტებს.**

**გადაცემის ბოლოს ტელეგამძღოლმა, ჩვეულებისამებრ, ფეისბუქზე დაგროვილი „უმადური“ ხალხის გამოხმაურებები გააცნო მსმენელ-მაყურებელს. სწორედ ამ გამოხმაურების ნაწილს ვთავაზობთ დღეს ჩვენს მკითხველსაც.**

**ვალერი სეხნიაშვილი**

– ძალიან გთხოვთ, ჰკითხოთ შალვა ნათელაშვილს, თუ რატომ არ გავრცელდა მასზე ის კანონი, რომ, როდესაც პარლამენტარი არ ესწრება სხდომებს, მას უჩერდება დეპუტატობა... ამდენი წლებია, ეგენი მუქთად იღებდნენ ამ ფულს, ეს ხალხის ფული იყო და დაებრუნებინათ ისევ ხალხისთვის. მიეცათ ლტოლვილებისთვის, მოხუცებისთვის, ავადმყოფი ბავშვებისთვის..: რატომ მიითვისეს ეს ამდენი ხალხის ფული, რომელიც არ ეკუთვნოდათ?

**ჯუმბერ კირვალიძე**

– ეს მართლა „რვა ნომერი“ უკვე „მოუკრეფავში გადავიდა“... და მაგრად დაისჯება, ისეთ ბინძურ თამაშში შევიდა მიშასთან, ბიძინას წინააღმდეგ, სადაც „ყველაფერი მოსულა“... ამიტომ, ხელი აიღოს, თორემ სააკაშვილმა შეიძლება გაასწროს, ეს ქაჯი შალვა სად წავა???!!!

ეს მართლა ახვარი, საქართველოს დაღუპვა უნდა, თუ პირველი კაცი არ გახდება?!:ძ გოიმთა გოიმი!!!!!!! შალვა, შე მართლა ლეიბორისტოოოოოოოოოო!

**მიშა გოგნიაშვილი**

– როგორი გამწარებულია ნათელაშვილი, საარჩევნო შემოსავლები ეძირება. მისი მთავარი ფინანსური შემოსავლის მთავარი წყარო ყოველთვის არჩევნები იყო. ახლა აღარავინ გადაუხდის პარტიული სიის მესამე-მეოთხე ადგილისთვის. ველარავის გაიყვანს პარლამენტში.

ნინო, დიდი პატივისცემის მიუხედავად, თქვენი დიდი შეცდომაა გიჟების და გარეკილების ეთერში მოწვევა! შეეკითხეთ ბატონ შალვას, რამდენჯერ გაყიდა პარტიულ სიაში ადგილები.

**მარინა გიორგობიანი**

– მე-2 ადგილი ივანიშვილსო, თქვა ნათელაშვილმა. დიახ, არა მარტო ქცევით, არამედ განცხადებებითაც, ნათელაშვილი მიშას წისქვილზე უშვებს წყალს! სირცხვილია!

IRI, NDI და შალავა ნათელაშვილი ერთნაირ რეიტინგებს დებენ!

**ძეთი მებონია**

– შალვა ნათელაშვილის პოლიტიკურმა მრწამსმა ჩაილურის წყალი დალია...

**MYA QVR**

– ნათელაშვილი დააბით!!!

**ეკა სილაგაძე**

– პინგვინი თავად ხართ, ბატონო შალვა! ამდენი წელია, თქვენს პოლიტიკურ იმპოტენციას ვუმზერთ! დავიღალეთ!

**გიორგი კაციაშვილი**

– შალვა გულს გაუფრთხილდი, ნუ ნერვიულობ!

**პაატუნა ნიპარიშვილი**

– ჰკითხეთ ნათელაშვილს, რამდენად მიეყიდა სააკაშვილს საკრებულოს არჩევნების დროს. დღეს მისი ფასი იმდენად მცირეა, რომ მყიდველი ძნელად თუ მოიძებნება, ჩუქებით კი მას არავინ იჩუქებს

**ბადრი ალფაიძე**

– მე ვიყავი ქუთაისში ორი მოწვევის საკრებულოს წევრი. მე ვარ მოწმე, თუ როგორ მიეყიდა ლეიბორისტები მოქალაქეთა კავშირს და შემდეგ გახდნენ ნაცმოძრაობის მონები.ესაა ნათელაშვილი, რომელიც აქამდე სულ მცირე ზრდილობიანი კაცი მაინც მეგონა იყო.თუ კაცობის ერთი უჯრედი მაინც დაგრჩა, ნათელაშვილო შენი და შენი მეუღლის ასიათასების წარმომავლობა იქნებ აუხსნა ხალხს, ხალხს, რომლის გადარჩენას აპირებ.

**კირილე მიმინოშვილი**

– შალიკო, სურენაზე ადრე გაგამწესებენ საგიჟეთში...

**ლევან ტალახაძე**

– მართვის მოწმობის ასაღებად ე.წ. „ფსიქოს“ ითხოვენ, ნუთუ არ შეიძლება, პოლიტიკოსებს ჯანმრთელობის ცნობა მოვთხოვოთ, ვიდრე არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას?

**ვასო ლივერპოოლი**

– შალვა! შენ რომ დაიბადე, მაშინ მთელი დუშეთის რაიონი ისროდა თოფებს, იმიტომ რომ ყველას ეგონა ვაჟკაცი ბიჭი დაიბადაო, არადა რო სცოდნოდათ, რა ნაციონალური მოძრაობის ხვრელი იქნებოდი, ის თოფები იქ უნდა შემოეყოთ და დაებათქუნებინათ.

**რობიზონ ჩინჩალაძე**

– ნინო, დაჟინებით მოვითხოვ გაახმიანოთ.არ დამიწყოთ კორექტულობაზე მოწოდება ნათელაშვილის მოსმენის შემდეგ. ნათელაშვილი კლინიკური შემთხვევაა.იდიოტია ეს კაცი. ამდენი უაზრობის და სისულელის მოსმენის შემდეგ, რომელ კორექტულობაზე შეიძლება იყოს საუბარი.




ჯერ ისწავლოს წესიერი და წყნარად ლაპარაკი და მერე მოიწვიეთ ეთერში. რა უბედურებაა? ყურები და თავი აგვატკივა. ბებიაჩემი გვასწავლიდა, შენი თავი შენ არ შეიქო, სხვამ უნდა შეგაქოსო!

**მერაბ ჯიქია**

– ქალბატონო ნინო, ბარაქალა თქვენს ჟურნალისტურ, ადამიანურ მოთმინებას. ყოველგვარ ზღვარგადასული, აღვირახსნილი უზნეობა – აი ყველაზე მცირედი იმისა, თუ როგორ შეფასებას იმსახურებს პოლიტიკოსობაზე პრეტენზიის მქონე ნათელაშვილი. არათუ პოლიტიკოსობასთან, მას უდიდესი პრობლემები აქვს ადამიანურობასთან, ზნეობასთან და საღ აზრთან. არ მჯეროდა ადამიანის ასეთი დეგრადაციისა. ვაი, სირცხვილო, ნათელაშვილი რომ ქართველი ერისგან ბოდიშის მოხდას მოითხოვს, ვგონებ, აქ უფრო მედიკოსებმა უნდა აკეთონ კომენტარები. უკაცრავად, ემოციებს ვერ ვიკავებ. თითქოსდა მე არ მეხებოდეს ეს ყველაფერი პირადად, მაგრამ ძალზე შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი. შემრცხვა ჩემი თავისაც და შემებრალა ჩემი ქვეყანა ასეთთა ხელში.

**ლაშა არგვეთელი**

– მაპატიეთ ასეთი უსიამოვნო შემოთავაზებისთვის, მაგრამ ერთი წუთით წარმოიდგინეთ ნათელაშვილი ხელისუფლებაში.

◎ ოპოზიცია

# „მე ბანდასთან ხელშეკრულებებს არ ვაფორმებ!“



**არჩევნებამდე დარჩენილ ვადაში „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია ყურადღებას ამახვილებს ოპოზიციის რიგების სტაბილურობაზე: „ოპოზიციაში კონკურენცია უნდა იყოს მინიმალური, ანუ ის მაინც უნდა მოვახერხოთ, რომ მაჟორიტარულ ოლქებში ერთმანეთს არ დავუპირისპირდეთ“.**

**– თქვენ მრავალჯერ აღნიშნეთ, რომ აუცილებელია ერთიანი ოპოზიციური ფრონტის შექმნა. ხოლო მოკავშირე ძალებად „ქართულ ოცნებას“, „სახალხო ფრონტს“ და „თავისუფალ საქართველოს“ მიიჩნევთ... რა ვითარებაა მოლაპარაკების თვალსაზრისით?**

– ჯერ კონკრეტული შედეგები არ არის, თუმცა ისიც შედეგია, რომ ჩვენ ვთანამშრომლობთ „ოცნებასთანაც“ და „კრებასთანაც“. ვფიქრობ, სასურველია და შესაძლებელიც, რომ უფრო ეფექტიანი შედეგები გვქონდეს უფრო ეფექტიანი თანამშრომლობის მიზნით. ამიტომ ვმუშაობთ ამ თვალსაზრისით და ვნახოთ, როგორ დასრულდება ეს ყველაფერი.

**– ანუ ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი „ჯონდი ბაღათურია – „ქართული დასი“ ცალკე გამოვა არჩევნებზე თუ ვინმესთან ერთად?**

– ჯერჯერობით ცალკე გამოდის, თუმცა ხვალ და ზეგ რა იქნება, წინასწარ ვერ გეტყვით.

**– თქვენ რამდენჯერმე გააჟღერეთ ბრიფინგებზე „ქართული დასის“ პროგრამა, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ განათლებისა და სოფლის მეურნეობის რეფორმას, არამედ პენსიების გაზრდას, კომუნალური და საბანკო დავალიანებების ჩამოწერას...**

– შემიძლია დაბეჯითებით გითხრათ, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა, მართლაც უნიკალურია და გულისხმობს იაფი საბანკო და სადაზღვევო პროდუქტის შექმნას სოფლის მეურნეობაში. ჩვენ ვიპოვეთ სოფლის მეურნეობის დაფინანსების, საბანკო და სადაზღვევო პროდუქტების შექმნის გასაღები. საბანკო პროდუქტი აუცილებელია სოფლის მეურნეობაში. სანამ სოფლის მეურნეობა ბიზნესად არ გადაიქცევა, მომგებიანი არ იქნება, ყოველთვის გაუჭირდება თანხებისა და რესურსების მოზიდვა.

ამიტომ საბანკო პროდუქტის არსებობის შემთხვევაში, უცხოელი თუ ქართველი ბიზნესმენი დაიწყებს ფიქრს, ჩადოს თუ არა ფული სოფლის მეურნეობაში. როდესაც მან იცის, რომ ბანკი კრედიტს გასცემს, სადაზღვევო კომპანია კი აზღვევს ამ რისკებს, მაშინ ფულს უპრობლემოდ დააბანდებს. თუ საბანკო და სადაზღვევო პროდუქტი არის, ეს ნიშნავს, რომ ამ ბიზნესში ფულის ჩადება შეიძლება.

ძალიან მნიშვნელოვანია დაგროვილი საბანკო დავალიანების, ე. წ. პრობლემური ვალების ჩამოწერა, რაც პირდაპირ მიბმულია სოფლის მეურნეობაზე. არალიკვიდური აქტივების რაოდენობა, 2010 წლის მონაცემებით, 500 მილიონამდეა. სოფლის მეურნეობის 500 მილიონი ლარის დაბანდების შედეგად ნახევარ მილიონამდე სამუშაო ადგილი შეიქმნება.

ანუ მინიმუმ 540 ათას ადამიანს მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილი გაუჩნდება, თუკი „ქართული დასის“ უნიკალური პროექტი განხორციელდება. შეიქმნება ჭარბი პროდუქცია, ფასები დაიწევს და პროდუქცია ხელმისაწვდომი გახდება. ასე განიდევნება ქართული ბაზრიდან თურქული, ჩინური და სხვა უცხოური, გენმოდიფიცირებული, ვადაგასული პროდუქცია. სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამას შეუძლიათ ჩვენს ვებგვერდზე გაეცნონ.

**– რით არის მნიშვნელოვანი „ქართული დასის“ საპენსიო რეფორმის პროექტი?**

– უნდა გითხრათ, რომ საპენსიო რეფორმის პროექტი არც ნაციონალურ მოძრაობას აქვს და არც სხვა რომელიმე პარტიას, მხოლოდ „ქართულ დასს“ აქვს. კონკრეტული ციფრებით, ანგარიშებით, დაფინანსების წყაროების მითითებით მსგავსი პროექტი არავის არ დაუდვია. უნიკალურობა ის გახლავთ, რომ საზოგადოებას პენსიის გაანგარიშების ფორმულას ვთავაზობთ. საარსებო მინიმუმს – 170 ლარს ემატება 2 ლარი ყოველ ნამუშევარ წელიწადზე. თუ ადამიანს აქვს 30-წლიანი სტაჟი, მას დაემატება 60 ლარი და ჯამში ვღებულობთ 230 ლარს. 765 ათასი პენსიონერის საშუალო პენსია 230 ლარი გახდება. მართალია, დიდი ციფრი არ არის, მაგრამ ეს მოგვცემს სინდისის დამშვიდების საშუალებას, გვეცოდინება, რომ ადამიანებს ელემენტარულ საარსებო ლუკმას ვაძლევთ.

ამას გარდა, არსებობს სხვა კატეგორიებიც – ყველა ჯგუფის ინვალიდის, მარჩენალდაკარგულთა და პოლიტრეპრესირებულთათვის შემწეობა. მათი პენსია 170 ლარამდე გაიზრდება.

ძალზე მნიშვნელოვანია სოციალური და სადაზღვევო რეფორმა, რომელიც გულისხმობს სოციალურად დაუცველთა ბაზაში მოხვედრის კრიტერიუმის შეცვლას. და ეს კრიტერიუმები იქნება არა ფარდა, მაცივარი, ან ტელევიზორი, არამედ ამა თუ იმ პირის შემოსავლები. თუ შემოსავალი საარსებო მინიმუმზე დაბალია, მაშინ მას ავტომატურად მიენიჭება სოციალურად დაუცველის სტატუსი, და ისარგებლებს სოციალურად დაუცველთა პოლისით და შემწეობით. პენსიონერი ფაქტობრივად სოციალურად დაუცველია, 100-ლარიანი პენსია საარსებო მინიმუმის ნახევარიც კი არ არის. შესაბამისად, ყველა პენსიონერს უფასო სამედიცინო მომსახურების შანსი ექნება.

ჩვენ მიერ შემუშავებული საპენსიო რეფორმა სისტემური ნამუშევარია და ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ასევე საგულისხმოა დაგროვილი კომუნალური დავალიანებების ჩამოწერა – ფინანსური ამნისტია ხალხში.

**– თქვენ პატიმართა მასშტაბურ ამნისტიასაც გეგმავთ...**

– დიახ, ძალზე მნიშვნელოვანია პატიმართა მასშტაბური ამნისტია, ამასთან, ყველა პრობაციონერის გათავისუფლება და სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია. ეს გულისხობს ე. წ. შეკრებითობის პრინციპის გაუქმებას, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების ვადების შემცირებას.

**– ბატონო ჯონდი, თქვენ მძაფრად გააკრიტიკეთ პრეზიდენტის ოჯახი. ვინმემ ყურად ილო თუ არა თქვენი კრიტიკა, ან რაიმე სახის დევნა ხომ არ გიგრძვნიათ?**

– რაც შეეხება დევნას, ჩვენც შეგვიძლია, ეს ერთი. მეორე – თუ დევნაში იგულისხება ის, რომ არც ერთი ცენტრალური ტელევიზია აღარ გვაშუქებს, მაშინ, მართლაც, ასეა და რაღაც საკანონმდებლო ცვლილებები მიიღეს.

იხ. 5 გვ.

ganukitkhaoba

## განუკითხაობა

**არჩევნების თარიღის გამოცხადებამდე ხელისუფლებამ კიდევ ერთი „საჩუქარი“ გაუკეთა საზოგადოებას — თბილისის საქალაქო სასამართლომ საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის საბანკო ანგარიშები დააყადაღა.**

**დოკუმენტში, რომელიც ინსტიტუტმა თბილისის საქალაქო სასამართლოსგან მიიღო, მითითებულია ერთი კონკრეტული მუხლი, რომელიც მოიცავს იმ დანაშაულების ჩამონათვალს, რის გამოც შეიძლება ამა თუ იმ ანგარიშის დაყადაღება. ამაში შედის ისეთი მძიმე დანაშაულებიც, როგორიც არის ტრეფიკინგი, ფინანსური დანაშაულით მოპოვებული ქონების განკარგვა და ა.შ. თუმცა, დასაბუთება, კონკრეტულად რაში ედება ინსტიტუტს ბრალი, მითითებული არ არის და, ამასთან, ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებაც არა აქვს. ეს ის ინსტიტუტია, რომელიც თავის დროზე ვახტანგ ხმალაძემ და გია ხუხაშვილმა დააფუძნეს, თუმცა წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების შემდეგ ინსტიტუტი დატოვეს, რომ რაიმე ტიპის გართულება თავიდან აეცილებინათ. ამის მიუხედავად, ინსტიტუტი ხელისუფლების ზეწოლას ვერ ასცდა.**

რჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება ერთიმეორის მიყოლებით აყადაღებს ყველაფერს, რაც კი ოპოზიციასთან ასოცირდება. ჯერჯერობით, დასაყადაღებელი კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი სუბიექტების ქონება და ანგარიშები დარჩა, თუმცა პარტიები დაჯარიმებულები უკვე არიან და დაყადაღება ნებისმიერ დროს შეიძლება მოხდეს.

როგორც ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილი ამბობს, „**ეს ნიშნავს ძალიან მარტივ რაღაცას, ქართული სიტყვა არ მახსენდება და შეესატყვისება ოკუპანტური სიტყვა — „ბესპრედელი“, ანუ, რასაც მინდა, იმას ვაკეთებ.** ხშირად თვითონაც არ აქვთ წარმოდგენა, რას აკეთებენ და როგორ აკეთებენ, ეს არ არის რაციონალური რაღაცები, ერთადერთი შეფასება შეიძლება გაკეთდეს, რომ ეს არის დიდი ყაჩაღების ბანდა.

**როდესაც ხელისუფლება არ დგას სამართლიანობაზე, როგორც ნეტარი ავგუსტინე ამბობდა ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში, არსებობს პატარა ყაჩაღების ბანდა, რომლებიც შარაგზაზე არიანო, მაგრამ ხელისუფლებას, რომელიც არ დგას სამართალზე, დიდი ყაჩაღების ბანდა ეწოდებაო — ეს შემიძლია ვთქვა ამათ ქმედებებზე, მეტი არაფერი“.**

„ქართულ ოცნებაში“ შემავალი სუბიექტების დაჯარიმების საქმესთან დაკავშირებით, სააღსრულებო წარმოება ჯერ კიდევ მიმდინარეობს. აღსრულების ეროვნულ ბიუროში არ აკონკრეტებენ, რა ეტაპზეა სააღსრულებო წარმოება, თუმცა აცხადებენ, რომ სააღსრულებო ფურცელი შესულია, პროცესი დაწყებულია და პარტიების ქონების მოძიება მიმდინარეობს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 27 ივნისის გადაწყვეტილებით, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალ სუბიექტებს, კონტროლის პალატის მიერ შედგენილი ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა ოქმის საფუძველზე 2 383 097 ლარი დაეკისრათ.

კონტროლის პალატის მიერ სასამართლოსთვის გაგზავნილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმის მიხედვით, შპს „მენეჯმენტ სერვისმა“ საკუთარი სახსრებით დაიქირავა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში კოალიცია „ქართული ოცნებისთვის“ საოფისე ფართები, სადაც 476 614, 51 ლარის სარემონტო სამუშაოები ჩაატარა.

ოქმის მიხედვით დღემდე ამ ოფისებით სარგებლობენ პოლიტიკური სუბიექტები – საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ და კოალიციაში შემავალი პარტიები: „რესპუბლიკური პარტია“, „ეროვნული ფორუმი“, „თავისუფალი დემოკრატები“, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „კონსერვატიული პარტია“ და „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“.

„მენეჯმენტ სერვისის“ მიერ პოლიტიკური სუბიექტების სასარგებლოდ განხორციელებული უსასყიდლო მომსახურება სასამართლოს გადაწყვეტილებით, უკანონო შემოწირულობად იქნა მიჩნეული, ამიტომ პარტიებს აღნიშნული თანხის 5 დღის ვადაში შემომწირველისთვის დაბრუნების ვალდებულება დაეკისრათ. თუმცა პარტიებმა თანხა უკან არ გადარიცხეს, რის გამოც კონტროლის პალატამ სასამართლოს მიმართა.

კოალიციის ადვოკატის განცხადებით, „ქართულ ოცნებას“ ჯარიმის გადახდის საშუალება არ აქვს და, სავარაუდოდ, მათ ანგარიშებს ყადაღა დაედება.

გახდება თუ არა ასეთ შემთხვევაში პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობა შეუძლებელი და რა პრობლემები შეიძლება შეექმნათ მათ წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებისას, თუკი ერთ მშვენიერ დღეს აღსრულების ეროვნული ბიურო მათ ქონებასა და ანგარიშებს დააყადაღებს? საინტერესოა ისიც, რა გამოსავალს ხედავენ თავად კოალიციაში.

როგორც კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი პაატა ზაქარეიშვილი აცხადებს, ხელისუფლება აბსოლუტურ აგონიაშია და სრულიად უგუნურად იქცევა ისევ საკუთარი თავის საწინააღმდეგოდ.

**„ეს დაყადაღებები საქმეს ვერ შველის. ყველა ხედავს, რომ აყადაღებენ და აყადაღებენ, აჯარიმებენ და აჯარიმებენ კოალიციაში შემავალ პარტიებს, მაგრამ კოალიცია მაინც წარმატებით ახორციელებს თავის წინასაარჩევნო კამპანიას.**

**პანიკაში არიან, ისტერიკაში და პარანოიდულად იქცევიან, სასაცილოდ, საბოლოო ჯამში და კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ კრიზისში არიან და აშკარად დამარცხებისთვის ემზადებიან.**

**ეს ყველამ იცის, საერთაშორისო ორგანიზებმაც იციან და კოალიციაში შემავალი პარტიები კვლავ აპირებენ ამ ყველაფერს მშვიდად შეხვდნენ.**

**საარჩევნო კამპანია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით გაგრძელდება, ისევე, როგორც ჩაატარებს ამ საარჩევნო კამპანიას „ნაციონალური მოძრაობა“.**

**ანუ კანონმდებლობა, რაც არსებობს, მაინც იძლევა იმის საშუალებას, რომ წარმატებით დავამარცხოთ „ნაციონალური მოძრაობა“.**

**მარტო ჩვენსას ხომ ვერ დააყადაღებენ, მაშინ თავიანთიც უნდა დააყადაღონ, ანუ რჩება მაინც მუშაობის საშუალება. იმ კანონმდებლობითაც კი, რაც არსებობს, ყოველთვის შეიძლება „ნაციონალური მოძრაობის“ ბეჭებზე დადება“.**

ექსპერტი კახა კახიშვილი თვლის, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ძალიან კარგად იცის, ფინანსების საჭიროება საარჩევნო კამპანიის დროს.

**„მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებაშია, „ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნების დროს ყოველთვის მაინც დიდძალ თანხებს ხარჯავდა, იმიტომ, რომ მხოლოდ ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს საარჩევნო კამპანიას რეკლამისა და აგიტაციის გარეშე.**

**ამავდროულად, მხოლოდ ფინანსები ვერ უზრუნველყოფს გამარჯვებას, თუ არ გყავს ელექტორატი. ფინანსების არსებობა პოლიტიკაში, მით უმეტეს არჩევნების პერიოდში, არის ძალიან მნიშვნელოვანი და არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში, აშშ-შიც და ევროპაშიც, მაგრამ მეორეა, რომ ასეთი ფინანსები უნდა იყოს გამჭვირვალე“.**

# „დიდი ყაჩაღების ბანდა“,

## ანუ ხელისუფლება, რომელიც სამართალზე არ დგას



კახიშვილი განმარტავს, რომ როდესაც ხელისუფლებამ მიიღო ცვლილებები კანონში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ, იქ იყო მთელი ჯაჭვი სხვადასხვა კანონებში შეტანილი ცვლილებებისა.

**„ერთი მხრივ, განხორციელდა ცვლილებები კანონში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ, პარალელურად შევიდა ცვლილება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელიც პროკურატურას ანგარიშების მონიტორინგის საშუალებას აძლევს.**

**როდესაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გაჩნდა მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სამ წლამდე პატიმრობას, თუ ორი მხარე გაახმოვანებს ინფორმაციას მონიტორინგის ან ყადაღის დადების შესახებ და სუბიექტს უკვე პასუხისმგებლობა ეკისრება. სხვადასხვა ცვლილებები შევიდა საბანკო საქმის რეგულირების სფეროშიც, რომელთა მიზანი არის მხოლოდ და მხოლოდ ერთი, რომ თავიდან ბოლომდე გააკონტროლონ მთელი ფინანსები, რაც კი ექნებათ ოპოზიციურ პარტიებს.**

**როდესაც იურიდიულ პირებს ჩამოართვეს საარჩევნო კამპანიის ფონდების დაფინანსების უფლება და მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკური პირების შენატანი დააწესეს, ესეც ამას უკავშირდებოდა და არაერთხელ განვაცხადე, რომ ქვეყანაში, სადაც 80%-ზე მეტი სოციალურად გაჭირვებულია და ასეთ გადაწყვეტილებას იღებ, ეს ნიშნავს, რომ უფლებას იტოვებ, როგორც კი რომელიმე ფიზიკური პირი თანხას შესწირავს, ჰკითხო, საიდან აქვს მას ეს თანხა. რადგან ადამიანების 80% არ მუშაობს ან თუ მუშაობს, იმდენად მცირე ხელფასი აქვს, არ აქვს ფულის გადანახვის ფუფუნება.**

**ასეთ შემთხვევაში მთელი ეს ციკლი ემსახურებოდა მხოლოდ ერთს, რომ ხელისუფლებამ აიღო ხელში ბერკეტი, რომლის საშუალებითაც რასაც ვხედავთ, იმას ახორციელებს — აყადაღებს ყველაფერს.**

**ერთადერთი არ აქვთ უფლება, ყადაღა დაადონ ადამიანებს ან თვითონ პოლიტიკურ ლიდერებს. ამის უფლება და საშუალება რომ ჰქონოდათ, დარწმუნებული ვარ, ამასაც გამოიყენებდნენ“.**

როცა ხელისუფლებას სურს, წუთებში შეუძლია დააყადაღოს ყველაფერი, რამდენიმე საათში აუქციონიც მოაწყოს და ყველაფერი ისე დაასრულოს, როგორც მას სურს, თუმცა, პარტიების ქონების შესწავლას ერთ თვეზე მეტი მოანდომეს და, როგორც ჩანს, გარკვეული მიზეზების გამო არც ანგარიშების დაყადაღებას ჩქარობენ და არც პარტიების ქონების ჩამორთმევასა და აუქციონზე გატანას.

როგორც კახიშვილი ამბობს, ახლა წინასაარჩევნო პერიოდია და, ერთი მხრივ, უკვე დააჯარიმეს და მუდმივ პრესინგში ჰყავთ საარჩევნო სუბიექტები, რომ აი, ახლა დაგვიყადაღებენ ანგარიშებს. მეორე მხრივ, ხელისუფლებას პოლიტიკურად არ აწყობს დასავლეთის თვალში, რომ ადგეს და დააყადაღოს ანგარიშები და მთელი პარტიული აქტივი გამოყაროს იმ შენობებიდან, რომლებიც კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიებს ეკუთვნის, ან ჩამოართვას, დაუყადაღოს და აუქციონზე გაუყიდოს ავტომანქანები, რომლებითაც სარგებლობენ პოლიტიკური ლიდერები.

**„აქაც ჩანს პოლიტიკური მხარე. თუ მიგაჩნდა, რომ სამართლიანად უნდა დაგეყადაღებინა, თუ პოლიტიზებული არ არის მთლიანად სასამართლო, მაშინ რატომ არ იღებ იმ გადაწყვეტილებას, რასაც კანონი გავალდებულებს? ასე რომ, ამ არჩევნებს ელოდებიან და, როგორც კი არჩევნები ჩამთავრდება, მაშინვე გააგრძელებენ ამ საქმეს. უბრალოდ, შენობებს პარტიებს არ გაუყიდიან, ეს ტექნოლოგიები ძალიან კარგად იცის „ნაციონალურმა მოძრაობამ“, როგორც კი პოლიტიკური სუბიექტების საკუთრებაში არსებული შენობების გაყიდვას დაიწყებენ, ეს ნიშნავს, რომ უკვე ებრძვიან პოლიტიკურ პარტიებს და ბრძოლის ასეთი მეთოდები არადემოკრატიულ ქვეყნებშიც კი არ იყო გამოყენებული.**

**ერთი მხრივ, მთლიანად სისტემა ჰყავს პოლიტიზებული, მეორე მხრივ, კანონმდებლობას იყენებს პოლიტიკური მიზნებისათვის, მაგრამ მესამეა, რომ როდესაც იყენებს ამ მეთოდებს, იყენებს ისე ზომიერად, რომ არ იყოს გაცხადებული დასავლეთის თვალში“.**

თუკი დასავლეთი მოისურვებს, მას შეუძლია დაინახოს რეალურად რა ხდება ქართულ პოლიტიკურ ფრონტზე და ასეთ შემთხვევაში, შესაბამისი შეფასებებიც გააკეთოს. როგორც კახიშვილი ამბობს, დასავლეთის ქვეყნებში პოლიტიკური პარტიების გამჭვირვალობის საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მაღალ დონეზეა, ასეთი ყადაღები და მონიტორინგები გაუგებარი ტერმინოლოგიებით იქ არ არსებობს და ვერავინ ვერ ისარგებლებს.

**„გავიხსენოთ საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნები. სარკოზის არ ჰქონდა მეორე ვადით არჩევის სურვილი? ძალიანაც ჰქონდა და დააყენა კიდეც თავისი კანდიდატურა პრეზიდენტობის პოსტზე, მაგრამ მან წააგო არჩევნები და იცით რატომ წააგო? მან ვერ აიღო ყურმილი და ვერ გასცა ისეთი ტიპის დავალებები, რომლებიც უზრუნველყოფდა ადმინისტრაციული რესურსის ხარჯზე მის გამარჯვებას. მან შესანიშნავად იცოდა, რომ როგორც კი ამას გააკეთებდა, მეორე დღესვე ველარ იქნებოდა თანამდებობაზე და თანაც ისე, რომ ისტორიაში შევიდოდა მისი სახელი. ამიტომაც არის საჭირო დემოკრატიული ინსტიტუტების გამყარება, რომ შეიძლება ვიღაცას კი ჰქონდეს ასეთი სურვილი, გაიხანგრძლივოს თანამდებობა, მაგრამ კანონი უნდა იდგეს მაღლა. ამიტომ უნდა მივაღწიოთ ისეთ დემოკრატიას, რომ მიუხედავად იმისა, ვინ მოვა და ვინ წავა, ხელისუფლებაში ისეთი ღირებულებები უნდა იყოს, იმდენად დამოუკიდებელი უნდა იყოს სასამართლო, იმდენად მიუკერძოებელი მართლმსაჯულება, რომ პრეზიდენტმა ვერც კი გაიფიქროს, რომ შესაძლებელია ასეთი ტიპის დავალება გასცეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს კიდევ დიდხანს არ იქნება საქართველოში“.**

როგორც პაატა ზაქარეიშვილი მიიჩნევს, მსგავსი რამ არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში არ შეიძლება მოხდეს:

**„ნატოს წევრ ქვეყნებში, დემოკრატიულ ქვეყნებში, ასეთი რაღაცები არ ხდება. შესაძლოა, მსგავსი რამ რუსეთში ან რომელიმე არადემოკრატიულ ქვეყანაში ხდებოდეს, მაგრამ ჩემთვის ეს მაგალითი არ არის“.**

როგორც ჩანს, ხელისუფლება არჩევნების ჩამთავრებას ელოდება, თუმცა გააჩნია, იქამდეც როგორ ხასიათზე დადგება ხელისუფლება, იმის მიუხედავად, რომ პოლიტიკურად წამგებიანია, არ არის გამორიცხული, არჩევნებამდეც პარტიებს წინასაარჩევნო კამპანიის შესაზღუდად ანგარიშები დაუყადაღოს.

**მარიამ თოდაძე**

informatsia

## ინფორმაცია

## საქართველოს მთავრობას 50 ათას ანტენას ჩუქნიან

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ემიგრანტები დემოკრატიული საქართველოსთვის“ წარმომადგენლები პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს წერილით მიმართავენ.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ ორგანიზაციის ლონდონის ოფისის ხელმძღვანელმა ნანა ელიოტმა განუცხადა, ემიგრანტები საქართველოს მთავრობას საჩუქრად სთავაზობენ 50 ათას სატელიტურ ანტენას იმ შემთხვევაში, თუ ისინი ანტენებს ხელისუფლების სახელით მოსახლეობას დაურიგებენ. წერილი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში უკვე ჩააბარეს. „ემიგრანტები დემოკრატიული საქართველოსთვის“ 16 ქვეყნის წარმომადგენლებს აერთიანებს და 25 ივლისს, ბრიუსელში, ორგანიზაციები კოალიციად გაერთიანდნენ. სწორედ მაშინ შემუშავდა ეს ინიციატივა, — განაცხადა ელიოტმა.**

**მისივე თქმით, ორგანიზაციამ პრეზიდენტისგან ოფიციალური პასუხი 10 დღის ვადაში უნდა მიიღოს.**

ინტერპრესი

◎ უპატრონობა

# ჭიათურა – ეკოლოგიური კატასტროფის ზღვარზე

**საზოგადოებისთვის გაურკვეველია, რა ბედი ელის ჭიათურის მუნიციპალიტეტში „ბუნიკაურის“ და „კავთელაძეების“ უნიკალურ ტყის მასივებს, რომლებიც მანგანუმის ამოღების შემდეგ, შესაძლოა, უდაბნოდ იქცეს. ჭიათურაში ჰაერის დაბინძურების დონე კი მრავალჯერ აღემატება დასაშვებ კონცენტრაციას.**

ასოციაცია „ჭიათურელთა კავშირი“ მიიჩნევს, რომ რეგიონის გაუდაბნოების პროცესი შეუქცევადად მიმდინარეობს. ორგანიზაცია შეფასებისას ეყრდნობა არა მხოლოდ თავის მიერ მოპოვებულ მასალებს, არამედ, ანგარიშს „მანგანუმის სამთო წარმოებასთან დაკავშირებული მეტალებით დაბინძურების, ეკოლოგიური და ადამიანის ჯანმრთელობის რისკების შეფასება ჭიათურაში“, რომელიც მერაბ მირცხულავამ და მაიკ უაირმანმა მოამზადეს. კვლევა 2011 წლის აპრილში ჩატარდა და აშშ ბუნების დაცვის სააგენტომ, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა, საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა, ასევე, უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ცენტრმა დააფინანსეს.



ასოციაცია „ჭიათურელთა კავშირის“ ხელმძღვანელი შოთა გაფრინდაშვილი „გურია ნიუსთან“ საუბარში ამბობს, რომ „ჯორჯიან მანგანეზი“ საწარმოს მიერ ნაკისრ გარემოზე ზემოქმედების შემამსუბუქებელ ღონისძიებებს არ ახორციელებს, რაც უმძიმეს ეკოლოგიურ გარემოს ქმნის:

**„გაურკვეველია, რა ბედი ელის „ბუნიკაურის“ და „კავთელაძეების“ უნიკალურ ტყის მასივებს, რომლებიც მანგანუმის ამოღების შემდეგ, შესაძლოა, უდაბნოდ იქცეს. ჭიათურაში ჰაერის დაბინძურების დონე კი მრავალჯერ აღემატება დასაშვებ კონცენტრაციას. მანგანუმის მოპოვების, ჩატვირთვისა და ტრანსპორტირებისას წარმოიქმნება რკინის ოქსიდები, მანგანუმის ოქსიდები, მანგანუმის ნაერთები და სხვა, რომელიც მტვრის სახით ვრცელდება მოპოვების ადგილებში, სოფლებში, ქალაქ ჭიათურაში. ძლიერი წვიმების და ქარის დროს, ქალაქის თავზე მდებარე კარიერიდან (ზედარგანის მიტოვებული კარიერი) ჭიათურის ცენტრალურ უბნებში დიდი რაოდენობით მტვერი და შლამი ილექება. რამდენიმე წლის წინათ, კოკისპირული წვიმების დროს, ამ კარიერის მიმდებარე ფერდობებიდან ჩამოწოლილმა მანგანუმის შემცველმა დიდმა მასამ ქალაქის ქუჩები მთლიანად დაფარა. ამგვარი ფაქტის განმეორება ყოველი წვიმის დროსაა მოსალოდნელი...**

**რაც შეეხება ჰაერის დაბინძურების დონეს, ეს მაჩვენებელი მრავალჯერ აღემატება დასაშვებ კონცენტრაციას; ეს ყველაფერი კი სხვადასხვა დაავადების გავრცელებას იწვევს, რასაც კომპეტენტური კვლევაც ადასტურებს“.**

გარემოზე ზემოქმედების შეფასების მიხედვით, ამ საკითხების მოგვარებაზე ტენდერში გამარჯვების საფასურად შპს „ჯორჯიან მანგანეზმა“ იკისრა, თუმცა, ასოციაცია „ჭიათურელთა კავშირის“ განცხადებით, არ ხორციელდება.

– საწარმომ უნდა უზრუნველყოს მტვრის შემცირება გზების მორწყვისა და სხვა ღონისძიებებით, რაც, სამწუხაროდ, არ ხორციელდება, – ნათქვამია განცხადებაში, რომლითაც ასოციაციამ „ჯორჯიან მანგანეზის“ ხელმძღვანელს გენადი ტიკვას გაუგზავნა და რომლის პასუხსაც ორგანიზაცია ერთი თვეა, უშედეგოდ ელის.

„გურია ნიუსმა“ ტიკვასთან დაკავშირება რამდენჯერმე სცადა, მაგრამ ჯერჯერობით ვერ შეძლო, თუმცა, მზად ვართ, სურვილის შემთხვევაში, მეორე მხარის მოსაზრებებიც გავაცნოთ მკითხველს.

**Gurianews.com**

◎ ოპოზიცია

# „მე ბანდასთან ხელშეკრულებებს არ ვაფორმებ!“

(მესამე გვერდიდან)

მარტო „ქართულ დასს“ ჩამოაჭრეს სარეკლამო დროის ლიმიტი... ამას თუ დევნას დავარქმევთ, პრინციპში არის კიდეც, ანუ პოლიტიკური რევანშია.

რაც შეეხება კრიტიკას, მე პრეზიდენტი კი არ გავაკრიტიკე, არამედ სიმართლე ვთქვი. ეს ყველამ იცის. გაფხორილი ფარშევანგივით რომ იჯდა და ეგონა, ჩირგვში ვზივარ და ვერვინ მოვა ჩემზედაო... ხომ მოაყანყალა სიმართლემ? სიმართლეს როგორი ძალა ჰქონია... თუ დააკვირდებით, როგორც კი დაუგეგმავ გარემოში ხვდება, იმ წუთსავე კონტროლს კარგავს საკუთარ თავზე.

მაშინაც პარლამენტში დაუგეგმავი გარემო იყო მისთვის. ეგრევე კონტროლი დაკარგა. როცა პარლამენტის წევრის მოვალეობას ვასრულებდი, პარლამენტის სხდომაზე, პირდაპირ ეთერში, დიპლომატიური კორპუსისა და პარლამენტის დეპუტატების თანდასწრებით მემუქრებოდა. ამით მან სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ საკუთარ თავს ვერ აკონტროლებს. ძალიან კარგად მისახვედრია, ვინ მართავს ქვეყანას. ეს არის ბანდა, რომელმაც ძალაუფლება ჩაიგდო ძალადობისა და შანტაჟის გზით, პარლამენტში სრულიად უკანონო შეჭრის გზით და დღემდე სრულიად უკონტროლოდ ინარჩუნებს ძალაუფლებას.

**– მთავრობის დადგენილებით, 2 თვის განმავლობაში პრესა და, საერთოდ, მასმედია თავისუფალი უნდა იყოს, ანუ უნდა განხორციელდეს „მასთ ქერის“ პროგრამა. სინამდვილეში კი ამ თვალსაზრისით საპირისპირო სურათია, დღემდე დაყადაღებულია „მაესტროს“ თეფშები, რომლებიც თავად შეიძინეს...**

– მხოლოდ 2 თვის განმავლობაში რატომ უნდა იყოს პრესა თავისუფალი? ყოველთვის თავისუფალი უნდა იყოს, მაგრამ ისეთ ჭაობში წვანან და ისეთი ინიციატივებით გამოდიან, რომ საქართველოში ტოტალური რეჟიმია.

მიიღეს ისეთი კანონი, რომელმაც დაადასტურა, რომ პრესა თავისუფალი არ არის და პრობლემა ღრმადაა წასული: საკაბელო არხები უარს ეუბნებიან მე-9 არხს და „მაესტროს“ ჩართვაზე, მეორე მხრივ, „რუსთავი-2“, „იმედი“ და საზოგადოებრივი მაუწყებელი უარს ეუბნებიან საკაბელო ტელევიზია „გლობალ-TV“-ს, ანუ სახელისუფლებო არხები უარს ამბობენ, რომ მათი სიგნალი გავრცელდეს... მართლაც, პარადოქსია. ამიტომ თავიანთ მიერვე დაგებულ ხაფანგში თავადვე ებმებიან.

**– თქვენ ტელევიზიით აღნიშნეთ, ნაციონალური მოძრაობის დეკლარაცია სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადიაო... რატომ?**

– ამ დეკლარაციაში ყველა მუხლი, მე-4 მუხლის გარდა, ისედაც კანონით აკრძალულია. სისხლის სამართლის დანაშაულია ძალადობა და ქვების სროლა, აკრძალულია ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, ასევე – არჩევნების გაყალბება... „მასთ ქერის“ მსგავსი ვითარებაა აქაც. პატივს იმდენად არ სცემენ კანონს, რომ, რაც კანონით აკრძალულია, დეკლარაციაში იმას წერენ, ხელი მოვაწერეთ და არ ჩავიდენთო.

ამას სჩადის ხელისუფლება... ეგენი აგზავნიან ქვასროლიებს ჩვენს შეხვედრებზე, არჩევნებსაც თავად აყალბებენ, ადმინისტრაციულ რესურსსაც იყენებენ და ძალადობასაც ეწევიან... და ახლა პალიკო კუბლაშვილთან რომ მოაწერ ხელს, მერე აღარ ჩაიდენენ?

თავიანთი ჭკუით ეს მათი ისეთი სვლაა, რომ ვითომ ორივე მხარე აკეთებს ამას და ახლა ჩვენ უარს ვამბობთ ამაზე...

**– ანუ „ქართული დასი“ ხელს არ აწერს ამ დეკლარაციაზე?**

– ბანდასთან ასეთ ხელშეკრულებას არ ვაფორმებ.

**– ბატონო ჯონდი, 1 ოქტომბერს გაიმართება საპარლამენტო არჩევნები. დარჩენილ ვადაში რას გეგმავს „ქართული დასი“?**

– აქტიურობას, ბუნებრივია... ჰიპერაქტიურები ვიქნებით. ძალზე მნიშვნელოვანია ხალხთან კომუნიკაცია, შენი ერის, ხალხის მაჯისცემას უნდა გრძნობდე.

რაც ხალხს უჭირს და ულხინს, სტკივა და იმედები აქვს, ამ იმპულსებს ჩვენგან უნდა იღებდეს, და პირიქით – ჩვენ მათგან ვიღებდეთ. ეს თუ დაკარგე, მაშინ იგივე ნაცმოელი ხარ, აბა, სხვა ვინ?

ესაუბრა
**ნატა ნიბლაძე.**

◎ ინფორმაცია

### ქართველ სპორტსმენთა მიმართვა საზოგადოებისადმი

ქართველ სპორტსმენთა ნაწილმა გუშინ საზოგადოებისადმი მიმართვა გაავრცელა, რომელიც ხელისუფლების მხრიდან ქართველ სპორტსმენებზე ზეწოლას ეხება.

„სპორტსმენებზე ზეწოლის უამრავი ფაქტი დაგროვდა, მაგრამ ჩვენ ვერიდებოდით ამ თემაზე საუბარს ოლიმპიადის წინ, რათა ხელისუფლებისგან სპორტსმენებს პრობლემები არ შექმნოდათ.

ოლიმპიურ ნაკრებსა და სპორტულ სამყაროში სწორედ ისეთი სიტუაციაა, როგორიც მთელს საქართველოში. სპორტსმენებზე ზეწოლაა. სპორტსმენები სპორტულ მოღვაწეობაში ხელის შეშლის შიშით თავიანთი პოზიციის ხმამაღლა გამოხატვას ერიდებიან. ოლიმპიური ნაკრების საქართველოში დაბრუნებისთანავე შევიკრიბებით და ღიად ვისაუბრებთ ყველა ფაქტზე, რომელსაც ხელისუფლება თავისი ზონდერებით ჩვენს წინააღმდეგ ახორციელებს. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ყველა სპორტული ფედერაციის ხელმძღვანელი ხელისუფლების მაღალჩინოსანია. ჩვენ ვართ სპორტსმენები და არა აქტიური პოლიტიკური მოღვაწეები. მაგრამ, გვაქვს მოქალაქეობრივი პოზიცია. სამინისტრომ სწორედ ეს მიიჩნია ჩვენს დანაშაულად და ამიტომ განახორციელა ზეწოლა ჩვენზე, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ სპორტსმენებზე. ხელისუფლება თავად ურევს ერთმანეთში სპორტსა და პოლიტიკას. ამას აკეთებდნენ მაშინ, როდესაც ზვიადაურის სურათები ჩამოგლიჯეს სპორტდარბაზების კედლებიდან, ახმეტაში ზვიადაურის სახელობის დარბაზს სახელი შეუცვალეს; როდესაც ძვლების დამტვრევითა და დენზე შეერთებით ემუქრებოდნენ ჩვენს მეგობრებს“, – ნათქვამია მამართვაში.

მიმართვას ხელს აწერენ 2012 წლის ევროპის ჩემპიონი სამბოში ნოდარ მეტრეველი; ხუთგზის ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი სამბოში უშანგი კუზანაშვილი, ძიუდოში საქართველოს ჩემპიონი ამბაკო ავალიანი; ძიუდოში საქართველოს ნაკრების წევრი ბეთქილ შუკვანი. მიმართვა ჟურნალისტებს უშანგი კუზანაშვილმა გააცნო.

### მთავარი პროკურატურის წინ „მაესტროს“ მხარდამჭერი აქცია – „დააყადაღე პროკურატურა“ გაიმართა

მედიასაშუალებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მთავარი პროკურატურის წინ ტელეკომპანია „მაესტროს“ მხარდამჭერი აქცია – „დააყადაღე პროკურატურა“ გამართეს.

აქციის მონაწილეებმა პროკურატურასთან სიმბოლურად კარი მიიტანეს წარწერით „დაყადაღებულია“. როგორც გაზეთ „რეზონანსის“ მთავარმა რედაქტორმა ლაშა ტუღუშმა განაცხადა, ეს არის სიმბოლური პროტესტი „მაესტროს“ გარშემო განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

ლაშა ტუღუშის თქმით, აქციის მონაწილეები მოითხოვენ, რაც შეიძლება სწრაფად გაუქმდეს ყადაღა „მაესტროს“ სატელიტურ ანტენებზე და ტელეკომპანიას დაუბრუნდეს კუთვნილი ქონება.

როგორც აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, საია-ს მედიის სამართლებლივი დაცვის ცენტრის კოორდინატორმა ნათია კაპანაძემ განაცხადა, აუცილებელია კიდევ ერთხელ დაფიქსირდეს, რომ ანტენების დაყადაღებასთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილება იყო უკანონო და ამით ირღვევა „მაესტროს“ საკონსტიტუციო უფლება და სიტყვის თავისუფლება.

### გოგა გომიაშვილი საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს

საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე გოგა გომიაშვილი საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გომიაშვილების ოჯახის ახლობელმა განუცხადა, გოგა გომიაშვილის ცხედარი გალაკტიონ ტაბიძის №35-ში ამ დილით იპოვეს. არსებული ინფორმაციით, გოგა გომიაშვილმა თავი მოიკლა. შემთხვევის ადგილზე კრიმინალისტები მუშაობენ.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ გომიაშვილი სალომე ზურაბიშვილის მინისტრობის დროს მუშაობდა და თანამდებობა 2005 წლის მაისში დატოვა, რის შემდეგადაც ბიზნეს-სექტორში მუშაობდა.

### პუშკინის ქუჩაზე საავტომობილო მოძრაობა ორი კვირით აიკრძალება

პუშკინის ქუჩაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო საავტომობილო მოძრაობა დღეიდან ორი კვირით აიკრძალება. აღნიშნულ ქუჩაზე ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში მოძრაობა დაშვებული იყო მხოლოდ ცალმხრივად, თავისუფლების მოედნიდან ბარათაშვილის ხიდის მიმართულებით, თუმცა დღეიდან კი მოძრაობა სრულად შეიზღუდება.

როგორც თბილისის მერიაში აცხადებენ, ორი კვირის განმავლობაში საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის შემუშავდება დროებითი მარშრუტი და პუშკინის ქუჩის ნაცვლად, მიკროავტობუსები და ავტობუსები ბარათაშვილის მიმართულებით ვაჩნაძის ქუჩის გავლით იმოძრავებენ.

მარშრუტებთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ ინფორმაცია ცხელი ხაზით მიიღონ, რომლის ნომერია: 2 72-22-22.

ინტერპრესი

ცკ-ის პრეზიდიუმის სხდომა შედგა 1953 წლის პირველ მარტს, სადაც კაგანოვიჩმა, ძველი პოლიტბიუროს ყველა წევრის მხარდაჭერით (ბერიას გამოკლებითძ, მოითხოვა სტალინისგან ექიმთა საქმის გამოსაძიებლად ობიექტური კომისიის შექმნა და მისივე განკარგულების გაუქმება სსრ კავშირის მოშორებულ ზონაში ყველა ებრაელის დეპორტაციის თაობაზე.

ბელადმა თითქოს ქუჩური გინებით უპასუხა, მაგრამ მიქოიანმა თითქოს განაცხადა, რომ თუ ისინი (ფაქტობრივად, შეთქმულებიძ ნახევარ საათში ამ შენობიდან თავისუფლად ვერ გავლენ, მაშინ არმია კრემლს დაიკავებს. ამის მერე სტალინს განუდგა ბერიაც, ხოლო კაგანოვიჩმა ნაკუწებად აქცია თავისი ბილეთი ცკ-ის პრეზიდიუმის წევრისა და სახეში შეაყარა ბელადს, რის შემდეგაც სტალინი დამბლამ უგონოდ დასცა და 2 მარტის დილის 6 საათზე მას, უკვე მომაკვდავს, ექიმები გამოუძახეს.

პატივცემულო მკითხველო! ეს ნაბოდვარი ნაბოდვარი კი არა, ზენკოვიჩის ხსენებული წიგნის 180-181 გვერდების შინაარსის გადმოცემაა.

თვით კაგანოვიჩმა თავის მემუარებში დაწერა, რომ სტალინი გარდაიცვალა „მოულოდნელად“; თუმცა ფელიქს ჩუევის დამოწმებით, რომლის ციტირება ასე უყვართ რუსეთელ „ისტორიკოსებს“, ლაზარ მოისეევიჩმა, 30-ზე მეტი წლის შემდეგ, შენიშვნაზე „მე მგონია, სტალინი მოკლეს“, უპასუხა: „არ ვიცი“...

ჩუევი თურმე შეეპასუხა: „მოლოტოვიც ამისკენ იხრებოდა... იცით, რა მითხრა?“ – „რა“? – გამოეხმაურა კაგანოვიჩი. „რა და, 1953 წლის პირველ მაისს, მავზოლეუმის ტრიბუნაზე როცა უკანასკნელად იყო ბერია, მოლოტოვისთვის უთქვამს – ის მე მოვიცილეო“.

თუმცა ჩუევმა იქვე დასძინა, რომ მოლოტოვის სიტყვებით, ბერიას „შეეძლო ასე განგებ ეთქვა თავის თავზე, უფრო წონიანი რომ გამოჩენილიყო...“

საეჭვოა, რომ ლავრენტი პავლოვიჩს ამგვარად ეცადა თავისი მნიშვნელოვნების ამაღლება – ისედაც ლამის ზღვრულად მაღალი ავტორიტეტი ჰქონდა. აი, მოლოტოვის პროვოცირება კი შეეძლო: მან დანამდვილებით იცოდა, რომ ბელადი მოკლეს, ხოლო მისი პოტენციური მკვლელების წრე უკიდურესად ვიწრო იყო; ჰოდა, გამოცდილი გამომძიებლისთვის ასეთი ზონდაჟი – როგორი რეაგირება ექნებოდა ვიაჩესლავ მიხაილოვიჩს – სავსებით ბუნებრივი უნდა ყოფილიყო...

ისე კი, რა „ვერსია“ გინდა, რომ არ მოჰყავდეთ. მაგალითად, სრულიად სერიოზულად ამტკიცებენ, რომ როცა სტალინი უგონოდ დაეცა, ბერიამ თითქოს აღფრთოვანებულმა შეჰყვირა: „ტირანი მოკვდა, ჩვენ თავისუფლები ვართ“. ამ დროს კი ბელადმა თვალები გაახილა და ლავრენტი პავლოვიჩმა დაჩოქილმა დაუწყო პატიების თხოვნა.

რითი არ არის ეს შექსპირი, ოღონდ მიხაილ ჟვანეცკის გადმოღებით!..

ამდენ ნაბოდვარში თუკი რამეა საინტერესო, ესაა ხან ვითომ რეალური, ხანაც ვითომ მითიური გეგმები ებრაელთა დეპორტაციისა, როგორც სტალინის მოცილების მიზეზი – პირველ ყოვლისა.

მეორე – ბელადის ბუნებრივი სიკვდილის ფაქტის კი არა, ამა თუ იმ სახით მოშორების ფაქტის აღიარება.

მესამეც – ნაბოდვარ ვერსიებშიც კი ბერია რაღაცნაირად გამოიყოფა სხვათაგან როგორც კაცი, რომელიც სტალინის წინააღმდეგ შეთქმულებაში პირდაპირ არაა გარეული...

ზენკოვიჩმა, „ვერსიების“ გადასინჯვის შემდეგ, თავისი წიგნის 193-ე გვერდზე ებრევე დაახეთქა, რომ ბელადის სიკვდილის გამოცანა ის კი არ არის, იყო თუ არა მოკვდინებული, არამედ ის, თუ როგორ მოხდა ეს.

ზენკოვიჩი იუწყება, რომ 1964 წლის 19 ივლისს უნგრეთის პარტიულ-სამთავრობო დელეგაციის პატივსაცემ მიტინგზე ხრუშჩოვი პირდაპირ გამოტყდა სტალინის მკვლელობაში და აცხადებდა, რომ კაცობრიობის ისტორიაში ცოტა როდი იყო სასტიკი ტირანი, თუმცა ყველანი ისევე დაიღუპნენ ნაჯახისგან, როგორც თვითონ საკუთარ ძალაუფლებას ნაჯახზე ამყარებდნენ.

აი, ასე! ოღონდ ზენკოვიჩი სისხლს მთელ პოლიტბიუროს სცხებს, ბერიას ჩათვლით, როცა ამტკიცებს, რომ ალტერნატივის: ვინ მომკვდარიყო, „ტირანი“ თუ „ძველი გვარდია“ წინ დამდგარმა „თანამებრძოლებმა“ ბელადის სიკვდილი აირჩიეს; და თუ გავიხსენებთ ზემოთ მოხსენიებულ ზენკოვიჩის წიგნის სახელწოდებას, შეიძლება თქმა, რომ ამნაირი მისი „კოლექტიური მაკომპრომატებელი მასალა“ უნდა განეკუთვნოს ცრუ ჩვენებათა და ფალსიფიკაციათა თანრიგს.

არა, სტალინის ყველა თანამოაზრეზე კი არაა მისი სისხლი, არამედ მხოლოდ ხრუშჩოვზე. აი, ლაფი კი, მალე რომ გადაასხეს ბელადს – ყველა მათგანის ხელებზეა, ლავრენტი პავლოვიჩის გამოკლებით. კალმოსანმა ელენა პრუდნიკოვამ მას უწოდა „სტალინის უკანასკნელი რაინდი“ და მე ისღა დამრჩენია, რომ მივულოცო ამ ქალბატონს ეგზომ ზუსტი განსაზღვრა.

მაინც, რა მიზეზებით მოაკვდინეს თითქოსდა ასე გულმოდგინედ დაცული იოსებ სტალინი? ვფიქრობ, რომ ამ კითხვაზე უკვე გვაქვს პასუხი, თუმცა სათქმელი კიდევ არის... მკითხველს დავპირდი, რომ ვაცნობებდი, თუ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში, მინისტრ იგნატიევის დროს, ვინ ხელმძღვანელობდა 1953-ში პარტიისა და მთავრობის დაცვის სამმართველოს. ჰოდა, აგერ, გეტყვით – თვით... სემიონ იგნატიევი.

ჯერ კიდევ 1952 წელს დაცვის მთავარ სამმართველოს სათავეში ედგა გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლაი ვლასიკი, რომელმაც 1946-ში დაარსა კიდევაც ეს უწყება. 1952 წლის 23 მაისს კი ვლასიკი მოხსნეს და სვერდლოვსკის ოლქში გადაიყვანეს უბრალო თანამდებობაზე. მის ადგილას სტალინის დაცვის ხელმძღვანელობა უშუალოდ იგნატიევმა დაიწყო.

შემდგომი ამბების შუქზე მე დარწმუნებული ვარ, რომ ბელადთან ვლასიკი უბრალოდ „ჩაუშვეს“ (ცოდვები გენერალს ჰქონდა, მაგრამ ნორმაში მის მოსაყვანად შეჯანჯღარებაც კმაროდა, სტალინისა კი ერთგული გახლდათძ... მჯერა, რომ ვლასიკი დროებით ჩამოიშორეს იგნატიევის უკან მდგარმა ძალებმა, შემდეგ კი გენერალი ხრუშჩოველებთან მორიგებაზე წავიდა, მეტიც – დათანხმდა ბერიასათვის ჩრდილის მიყენებას.

ვლასიკის ისტორია მეტ-ნაკლებად ზედაპირზეა. აი,



## სერგეი კრემლიოვი

# დიდი ბერია

### რამდენიმე თავი ახალი წიგნიდან




გენერალ-მაიორ კუზმიჩოვის (1908-1989ძ სახელი კი პრაქტიკულად უცნობია. სულ ტყუილად... 1946 წელს სახელმწიფო დაცვის სამმართველოს პირველ განყოფილებას (სტალინის დაცვასძ სწორედ კუზმიჩოვი ჩაუდგა სათავეში. 1948-1949 წლებში იგი გახლდათ მინისტრთა საბჭოს რწმუნებული სოჭი-მაცესტას აგარაკებზე (ბელადის დასვენების ადგილებიძ...

1952-ში კუზმიჩოვი, ისევე როგორც ვლასიკი, გამოჰყავთ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სისტემიდან, 1953 წლის იანვარში კი ორივეს აპატიმრებენ, რითაც საბოლოოდ მოსწყვიტეს სტალინის გარშემო გამალებით განვითარებად სიტუაციას.

დამახასიათებელია, რომ 1953-ის მარტში, შინაგან საქმეთა სამინისტრო – სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში მოსვლისთანავე, ბერიამ გაათავისუფლა კუზმიჩოვი და მთავრობის დაცვის უფროსად დანიშნა (მოგვიანებით ლავრენტი პავლოვიჩს ამასაც ჩაუთვლიან დანაშაულად „ანტიბერიულ“ პლენუმზეძ. ისიც ტიპურია, რომ ბერიას დატუსაღების მეორე დღეს კუზმიჩოვიც დააპატიმრეს. იგი გაათავისუფლეს 1954 წლის თებერვალში და მას აქეთ ეს ძალღონით სავსე, 81 წლის ასაკამდე მისული კაცი ამოვარდნილია აქტიური ცხოვრებიდან. ეტყობა, დუმილისთვის ასე გადაუხადა კუზმიჩოვს პარტოკრატების პარტიამ; და მე გამიჭირდება გენერლის გაკიცხვა. ვინ-ვინ და მან ხომ იცოდა, რომ ბერიას დაცემის შემდეგ და ამ დაცემის შედეგად სსრ კავშირის დაცემაც ოდენ დროის საკითხი იყო...

კიდევ ერთხელ შევნიშნავ: რა გასაკვირია, თუ რამდენი „მკვლევარი“ ვერ ითვალისწინებს იმ აშკარა ფაქტს, რომ 1946 წლიდან ბელადის თვით გარდაცვალებამდე მის დაცვასა და მომსახურებას ბერია კი არ ეწეოდა, არამედ სხვანი! თანაც 1951 წლის აგვისტოდან ამას აკეთებდა იგნატიევი – პარტოკრატთა პარტიისა და პირადად ხრუშჩოვის წარმომადგენელი და მისგან დაყენებული კაცი.

ეს ხომ შტამპია: ბერიამ თავისი კაცების საშუალებით მოწამლა სტალინიო; არადა, სტალინს ხომ იგნატიევის ხალხი ერტყა გარს! და სწორედ იგნატიევმა ჯერ კუზმიჩოვი მოკვეთა ბელადის დაცვას, მერე კი – ვლასიკიც; და იმავე იგნატიევმა სტალინის სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში განაცალკევა ისინი – ის ორი ადამიანი, რომლებიც ყველაზე უკეთ იცნობდნენ სტალინის დაცვის ორგანიზების საქმესა და მის დამცველ ხალხს. წინააღმდეგ შემთხვევაში ვლასიკსა და კუზმიჩოვს შეეძლოთ ან თავად მიექციათ ყურადღება დაცვაში უცნაურ მომენტებსა და არასაიმედო ადამიანებზე, ანდა ვისმე სხვისთვის მიეცათ, რაც ხდებოდა, მისი კვალიფიციური საექსპერტო შეფასება, რითაც თავისუფლებაზე დარჩენილნი ხელს შეუშლიდნენ როგორც იგნატიევს, ისე „დამკვეთებს“...

ბელადის გარდაცვალების შემდეგ ბერია აპირებდა იგნატიევის დაპატიმრებას, მაგრამ ცკ-ის პრეზიდიუმში მხარდაჭერა ვერ პოვა. ეს დატუსაღება კი ლავრენტი პავლოვიჩს უნდოდა აშკარად სტალინის სიკვდილის გამოძიების სურვილთან შესაბამისობით და უმალვე წააწყდა იმგვარ წინააღმდეგობას, რომ უკანდახევა მოუხდა მასაც კი.

ბელადის გარდაცვალებას დიდად არ დაუმწუხრებია თანამებრძოლები, თუმცა, ეს სიკვდილი უმაღლესი ხელმძღვანელობიდან მარტო ხრუშჩოვს სჭირდებოდა. ნიკიტა სერგეევიჩს რამდენიმე მიზეზით არ შეეძლო სტალინის ერთგულება.

ყოფილი ტროცკისტი (ტროცკიზმი კი სიფილისის მსგავსია – მხოლოდ მოშუშება შეიძლება და არა მორჩენაძ, არ ყოფილა ბელადის პარტიასთან პოლიტიკურად ახლოს; ფრონტზე საეჭვოდ დაკარგული ვაჟიშვილის მამამ ვერ შეძლო სტალინისთვის (რომელმაც თვითონ დაკარგა ომში ღირსეული ვაჟი იაკობიძ საყვარელი პირმშოს ბედში მონაწილეობაზე უარის პატიება. ამ უართან დაკავშირებით სტალინისადმი ხრუშჩოვის სიძულვილის შესახებ უყვებოდა მოლოტოვი ფ.ჩუევს, იმავე სიძულვილზე ბევრი რამ დაწერა გენერალ-მაიორმა მ.დოკუჩაევმა თავის წიგნში „მოსკოვი. კრემლი. დაცვა“.

თუმცა, მთავარი აი, რა იყო: ნიკიტა სერგეევიჩს ესმოდა, რომ თუ სტალინი მაინც გახდის ლავრენტი პავლოვიჩს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, მაშინ ეს უკანასკნელი ბელადის სიცოცხლეშივე მალე მოთოკავს ხრუშჩოვის ტიპის ენაწაგდებულ პარტოკრატებს და შეცვლის თვით ბერიასა და იმისი თანამოაზრეების ტიპის მომუშავე სოციალისტური ტექნოკრატებით; და მაშინ უკვე სტალინის სიცოცხლეში ნიკიტა ხრუშჩოვის ხვედრი უხარბიელო იქნება.

ამიტომ საჭირო ხდებოდა ჯერ სტალინის მოცილება ფიზიკურად. მერე საჭირო ხდებოდა ბერიასთან ანგარიშის გასწორება – ჯერ პოლიტიკურად, შემდეგ კი – ფიზიკურადაც; და ეს სუფთა თავკერძა ინტერესები ხრუშჩოვისა ძალიან კარგად მოერგებოდა დასავლეთისა და მსოფლიოს ოქროს ელიტის იმ პოლიტიკას, რომელმაც იწყო ჩამოყალიბება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და მიიყვანა სსრ კავშირი კრახამდე.

ასე რომ, არცთუ ისე ავანტიურული იქნება ვარაუდი, რომ ხრუშჩოვი და ხრუშჩოველები სტალინის მკვლელობამდე მიიყვანეს არა უბრალოდ პანიკამოცულმა „მეხუთე კოლონამ“, არამედ გავლენის პირდაპირმა აგენტებმაც, რომლებმაც მოახერხეს ნიკიტა სერგეევიჩის (და შესაძლოა, არა ოდენ მისიძ სათანადოდ განწყობა და „ბნელად“ გამოყენება.

1937 წელს ლიონ ფოიხტვანგერთან საუბარში სტალინმა თქვა: „თქვენ, ებრაელებმა, შექმენით უკვდავი ლეგენდა, ლეგენდა იუდაზე“. „რა უცნაური იყო ჩემთვის ჩვეულებრივ ასეთი მშვიდი, ლოგიკურად მოაზროვნე კაცისაგან ამ უბრალო პათეტიკური სიტყვების მოსმენა“, – აღიარებდა ფოიხტვანგერი.

თუმცა ახლა, დაწყებულ ახალ საუკუნეში, შეიძლება არ გაგვიკვირდეს სტალინის ამგვარი, უნებლიეთ აღმოხდარი განცხადება... დღეს ნათელი ხდება, რომ 1930-იანი წლების მეორე ნახევრიდან იუდას თემა ამა თუ იმ ზომით თან სდევდა მთელ მის სიცოცხლეს სიკვდილამდე; ასევე მერეც...

და ზედიზედ უღალატებენ ბელადს თავისიანები (ისე, ყოველთვის მხოლოდ თავისიანებმა იციან ღალატი...ძ; და მარტო სტალინს კი არ უღალატებენ, არამედ სახელმწიფოსაც. ეგ იმიტომ, რომ ბელადის ან მისი ხსოვნის ღალატი რუსეთის ღალატსაც ნიშნავდა; და დღესაც ნიშნავს!

არადა, ყველა დროისა და ყველა ხალხის პარტოკრატიას არ შეეძლო არ ეღალატა მისთვის: ხომ მხოლოდ პარტოკრატიისგან გაშავებული სტალინის ფონზე არ გამოჩნდებოდა იმათი საქმეების სიშავე და აგრეთვე – სრული უფერულობა, სიშავისაგან თითქმის განურჩეველი...

## ასთორმეტი დღე

სტალინი მოკვდა... და უიმისოდ უნდა გვეცხოვრა; როგორ?

ერთგვარად ამ კითხვას უპასუხა სკკპ-ის ცკ-ის პლენუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივმა სხდომამ 1953 წლის 6 მარტს. თვით ასეთი გაერთი-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. სრ. № 138-147

ანეზული სხდომის ფაქტი ექსტრაორდინარულად მოჩანდა, თუმცა საბაბიც ამნაირი გახლდათ. სხდომამ ბელადის ოფიციალური გარდაცვალების მეორე დღეს ჩაიარა და „პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ორგანიზების რამდენიმე ღონისძიება“ შეიმუშავა: ვოროშილოვმა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე შეცვალა შვერნიკი, რომელსაც პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე მისცეს რეკომენდაცია; მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა მალენკოვი, პირველ მოადგილეებად დაუნიშნეს ბერია, მოლოტოვი, ბულგანინი და კაგანოვიჩი.

იმ ეპოქის ზოგიერთი „ისტორიკოსი“, პირველ სამგლოვიარო დღეებს როცა აღწერს, ბერიას ეშმაკურ სვლას ხედავს იმაში, რომ მან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ მალენკოვის არჩევა პირველმა შესთავაზა კოლეგებსო, ხოლო მალენკოვმა მადლობის ნიშნად, თავისი პირველი მოადგილეების კანდიდატურათა წამოყენებისას, ბერიას გვარი პირველ ადგილზე დაასახელაო; და ამით ლავრენტი პავლოვიჩის პირველობა უზრუნველჰყო თანასწორთა შორისო; ოღონდ ყველა ამგვარი ახსნა მზაკვრულია...

კაცმა რომ თქვას, აბა სხვას ვის შეეძლო მაშინ რეალურად მინისტრთა საბჭოს მეთაურობა, მალენკოვისა ან ბერიას გარდა? და სხვა ვისი რეკომენდება შეეძლო მალენკოვს მინისტრთა საბჭოს „გამწევ ძალად“ ბერიას ნაცვლად, რომელიც სტალინის გვერდითაც ძირითადი ასეთი „ძალა“ გახლდათ უმაღლეს ხელმძღვანელობაში? სხვა საქმეა, რომ მალენკოვს შეეძლო მაშინვე თავის ადგილას ბერიას შემოთავაზება, მაგრამ ეს მისთვის მეტისმეტი გამოვიდოდა. ინტრიგები იქით იყოს და, ამბიციებმა ახლა, ბელადის წასვლის მერე, მალენკოვთან იჩინა თავი და არა ოდენ მასთან...

ლავრენტი პავლოვიჩს კი ამბიციები არ გააჩნდა — ჰქონდა იდეები და ინიციატივები... სტალინის დროს იმისი უახლოესი გარემოცვა არ იყო მიჩვეული ძალაუფლებისთვის ინტრიგებსა და ბრძოლას, იმიტომ, რომ ძალაუფლება მაშინ იძლეოდა არა იმდენად „ფუნთუშებსა და ღვეზელებს“, რამდენადაც „კოპებსა და ლებებს“; და გვიანდელი ბელადიც კი, „პოლიტოლოგთა“ მტკიცებების წინააღმდეგ, არავის თავის თანამებრძოლთაგან განზრახ არ აჯახებდა ერთმანეთთან შუბლებით, ვითომდა მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით; მსგავსი რამ არც სტალინის ბუნებაში იყო, არც იმჟამინდელი ხელისუფლების ხასიათში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბელადის მდგომარეობა მაშინ იმდენად მტკიცე და ურყევი გახლდათ, რომ... მოკლედ, გასაგებია, რა რომ...

უმაღლესი ხელმძღვანელობის გარემოში თუმცა ინტრიგები ბელადის წასვლისას კი გამოჩნდა, მაგრამ მათი ხასიათი, „ისტორიკოსთა“ მხრიდან, ბოროტი განზრახვით მახინჯდება, მასშტაბები კი გაბერილია. რასაკვირველია, საერთოდ, ხელმძღვანელი ჯგუფის პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილებებსა და მოვალეობათა განაწილებაში, რაც 1953 წლის 6 მარტს მოხდა, თავი იჩინეს როგორც სიტუაციის ობიექტურმა მოთხოვნილებებმა, ისე პირადმა სიმპათიებმა თუ ანტიპათიებმა. გადახლართულმა ობიექტურმა და სუბიექტურმა ფაქტორებმა დააპროგრამეს უმაღლეს ხელმძღვანელობაში სამომავლოდ რაღაც საქმოსნური „ბლოკების“ გამოჩენა.

სავსებით ლოგიკური იყო შინაგან საქმეთა სამინისტროსა (შსსძ და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ხელახალი გაერთიანება ერთ შინაგან საქმეთა სამინისტროდ ბერიას ხელქვეით; მაგრამ აი, მოლოტოვი კვლავ გახდა საგარეო საქმეთა მინისტრი ვიშინსკის მაგიერ, რომელმაც მოლოტოვი 1953 წლის მარტში შეცვალა. მოლოტოვის ამგვარი „რენესანსი“ მეტ-ნაკლებად გამართლებული ჩანდა, ოღონდ ის, რომ ვიშინსკი მინისტრის პირველი მოადგილის პოსტზე გადასვეს გადაკარგულში — გაეროში სსრ კავშირის მუდმივ წარმომადგენლად დანიშვნით — უკვე პირადი ანტიპათიების გამოვლენა იყო. აქვე სათქმელად, სწორედ მოლოტოვი, გაქნილი ინტრიგანის ბუნების არმქონე, ზოგიერთი მიზეზით, ინტრიგებში შეიძლებოდა ერთ-ერთი პირველი ყოფილიყო ჩათრეული.

ბულგანინმა სამხედრო მინისტრის თანამდებობაზე შეცვალა მარშალი ვასილევსკი, პირველ მოადგილედ გადანაცვლებული (მეორე მოადგილედ დაინიშნა ურალიდან მობრუნებული მარშალი ჟუკოვიძ.

გააერთიანეს ვაჭრობისა და საგარეო ვაჭრობის სამინისტროები და მინისტრად ხელახლა დაჯდა იმხანად ფაქტობრივად საქმეებს ჩამოცილებული მიქოიანი. მისთვის სტალინის სიკვდილი აგრეთვე პოლიტიკურ აღორძინებად იქცა, რასაც მე, ვაი, რომ ახლა უკვე პოლიტიკანურ აღორძინებას დავარქმევდი...

პარტიულ ხელმძღვანელობას რაც შეეხება, ცკ-ის პრეზიდიუმის ბიურო გაუქმდა და პრეზიდიუმს ახლა შეადგენდნენ მისი წევრები ბერია, ბულგანინი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, მალენკოვი, მიქოიანი, მოლოტოვი, პერვუხინი, საბუროვი, ხრუშჩოვი და წევრობის კანდიდატები ბაგიროვი, მელნიკოვი, პონომარენკო, შვერნიკი.

ხრუშჩოვზე შესაბამის დადგენილებაში ითქვა შემდეგი: „აუცილებლად იქნას მიჩნეული, რათა ამხ.ხრუშჩოვმა მთელი ყურადღება მიაპყროს სკკპ-ის ცენტრალურ კომიტეტში მუშაობას და ამასთან დაკავშირებით გათავისუფლდეს სკკპ-ის მოსკოვის კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისგან“.

ესე იგი ნიკიტა სერგეევიჩი ცკ-ის მდივანი ხდებოდა. ჯერჯერობით — „უბრალოდ“ მდივანი...

თარგმნა
**თამაზ ებანოიძემ**

(გაგრძელება იქნება)

⊙ პოეზია

# ო, სიყვარული დიდი პატარა გულმაც იცის

## ლერი ჩანტლაძე

### დიდპატარა

დიდ სახლს ჩერო აქვს დიდი,
პატარა — ფშატის ფოთოლს.
დაიფარება ხიდი,
თუ დიდი თოვლი მოთოვს.
დიდ კაცს ფეხი აქვს დიდი,
პატარას — მოთმინება,
უქონელს — ძილი მშვიდი,
შემოქმედს — დიდი ვნება,
დიდ მუცელს — დიდი მადა,
დიდ ქარქაშს — დიდი ხმალი,
დიდ ღუმელს — დიდი ქადა,
დიდ მხარჯველს — დიდი ვალი.
ჯვარი — სიონს და მცხეთას,
თაიგულს — ვარდი შლილი,
ასე პატარა დედას —
ასე ვეება შვილი.
რას რა უხდება კიდევ:
ვარსკვლავი — ზეცისკიდეს,
ნალიას — მოკლე კიბე,
დიდ ქურთუკს — დიდი ჯიბე.
სტვენა — პატარა ჩიტებს,
დიდ საკვერს — დიდი გრდემლი,
რამხელა სევდას იტევს
ერთი პატარა ცრემლი.
მიყვარს დარი და ბინდი
ჩემი მშობელი მიწის,
ო, სიყვარული დიდი
პატარა გულმაც იცის.

### გიხაროდეს

რა კარგი ხარ ია,
გიახრია ოდეს,
რაკი გიხარია,
რად არ გიხაროდეს.
აღმართ-დაღმართია —
დავალ ღამე მარტო,
სად რა დამმართია,
აქ რომ დამემართოს.
ო, რა სილაღეა,
როცა ვარდი ვარდობს,
უსასრულო დღეა,
მზე როს ტატნობს ადნობს.
მივადგები კბოდეს,
ვუმზერ ჭავლის ციმციმს,
უშენობა ოდეს
მიმძიმს, როგორ მიმძიმს.
ვეღარ უძლებს გული
მარტოობის ლოდებს,
ნატვრა ჩამარხული,
შენთან ყოფნის, გოდებს.
განშორების სევდას
გაურბიხარ ოდეს,
თუკი გვერდით მხედავ,
რად არ გიხაროდეს.

### ფიქრი

ბევრი ვიფიქრე, დღით და ღამით,
რა არ მოვჩხრიკე,
ვფურცლე წიგნები, ვქექე ძველი
ფოლიანტებიც,
ჭეშმარიტებას ვერ ვეღირსე.
თავსა ვგძნობ ისე,
ვით გულივერი ქვეყანაში
გოლიათების.

### ბინდი

გარინდებული დიდხანს ვიდექ
ეკლესიასთან...
რატომღაც შენი აღარ მჯერა,
ეკლესიასტე —
მოულოდნელად შევისმინე
ჩიტების ენა,
ჭადრების ჩრდილში თვალი შევკარ
ქალ-ვაჟის ხვევნას...
რად არის ვითომ ეს სოფელი
ქარების დევნა?

### ნუ წახვალ

ნუ წახვალ, დარჩი,
მაინც გვიანია,
გაიგებს — ისიც ადამიანია,
მთვარემ დაასრულა
ღამის ლიტანია,
გულო, რაოდენი
გადაგიტანია.
აქეთ გაიარე,
იქით ქვიანია,
ჩემო სიყვარულო,
დაგიგვიანია,
რა დილა თენდება,
ცა რა მზიანია,
ჩემო შთაგონებავ,
დაგიგვიანია.

### ეჰ, გალაკტიონ!..

არყოფნა ზეცით როცა დალანდე,
შინ ბრუნდებოდი სანაპიროთი,
სულით ჰამლეტი, ხორცით ატლანტი
ცრემლით ტიროდი.
ეს, ყოველივე, რას მოასწავებს?
ეჭვებმა უნდა ბოლომდე გდიონ.
რა ადევს ფასი წუთებს და წამებს?
ეჰ, გალაკტიონ!
სუნთქვა ეკვრება ვარდს ამ ჭაობში,
ყალბი სურნელი სდის ამფიტრიონს,
რა ძეგლი გსურდა ხავსსა და ობში?!
ეჰ, გალაკტიონ!
რა ჩალად გსურდა ამათი ტაში
(მუზასთან ღამეც ვერ გაათიონ),
უიმათოდაც იყავი ცაში.
ეჰ, გალაკტიონ!
სულით და გონით აქეთ არმყოფელს
სტიქსიდან გისვამს... იყავი სოლო!
თანაც ხომ უნდა ერთხელ ამ სოფელს
მოეღოს ბოლო?
რაც ემაგ სულში დავანებულა
მთელ პლანეტაზეც ვერ დაატიონ...
ო, მაინც ხორცით, ხორცით ვნებულო...
ეჰ, გალაკტიონ!

### მოლანდება

ჩაიფერფლა კერა სოფლის,
ჩანახშირდა ნაკვერცხალი,
ხნულს არ ალბობს ცვარი ოფლის,
ჩალჰა ბუდე, ნაკვერცხალი.
მახლას, თუკი ჩაქრა შუქი,
გადაიქცა თუკი ოდა,
ბუკიოტი შერჩა თუკი —
ის კიოდა, თუ კიოდა!..
აღარ ბორგავს ტყეში ტახი,
შაშვი სუროს ვეღარ აგნებს,
ამღვრეულა როგორც ბახვი
მოაგორებს უგუნურ საგნებს.
ნაპირ-ნაპირ დარბის ბავშვი
გვერდს აუვლის იმ ნასახლარს...
განა რამე იყო მაშინ,
განა რამე არის ახლა!..

### სიცხიანი ლექსი

ო, ისტორიავ, შემივრდომე
ლტოლვილი ერთი,
ყორის იქიდან გულგრილად
ნუ მექირქილები.
არად მჭირდება კალთა შენი
თუკია ღმერთი
და თუკი არა, ნუ ყოყოჩობ
შენი ქმნილებით.
სამშობლოვ ჩემო, რომ მიყვარხარ,
რად გინდა ფიცი,
განა უშენოდ რამედ მიღირს
ქვეყნად დიდება,
მაგრამ ჩემზე და შენზე მაღლა,
ეგ კარგად იცი,
ძევს უთქმელი და ვერსათქმელი
ჭეშმარიტება.

### რეფერენდუმი

თუმც მოწაფეთა თაყვანმა
მუხლისთავები გაცვითა,
მაინც იხილეს „შემკული“
თავი ეკლით და ქაცვითა...
რეფერენდუმი პირველი
დამთავრდა მოძღვრის ჯვარცმითა.

### სალაღობო სტროფები

ქვიანზე წოლით მეწვის გვერდები,
მარჯვენა ხელის ბალიშზე მძინავს,
აქედან ვიცი: არ დავბერდები...
აქ თუ არ... „იქ“ ხომ ნაღდი მაქვს ბინა.

* * *

ახლებმა დაგვიწყეს უთოობა,
მერე იქირქილეს ძველ სიაზე:
ბებრებო, გეყოფათ უთაობა,
ინებეთ წაბრძანება პენსიაზე!
რაო? არ გყოფნით ასაკი?
სად წავა — მოგივათ უთუოდ —
ახლა კი შეწყვიტეთ რაკრაკი,
თვარ გინდათ დაგაუთუოთ!

* * *

იქნებ ბრალი იყო ღვინის
დრამატული ვითარება:
ჩვენ პირდაპირ ახალ მინისტრს,
ვნახეთ, თავი ვით არ ება!

* * *

აწამებ სტრიქონთა ბირდაბირს,
რითმებით მიეთ-მოეთობ —
მოდი და მითხარი პირდაპირ
თუკი გაქვს სათქმელი, პოეტო!

* * *

თვალი და საჭე გამექცა ერთობ...
ნუ „დამაჩმორებ“! ამას გთხოვ, ღმერთო!
ძუძუთა ღელე, თეძოთა ველი —
როგორც თავთუხის მწიფე თაველი...
ქალურო გენო, ვნებავ და ნიჭო!..
სად იყურები! აქეთკენ, ბიჭო!

* * *

იდეით, სიყრმის აქეთა,
კისრამდე ვიყავი მაკეთა,
მიმტყუნა არსთა გამრიგემ,
ზედ დიამეტრზე გამკვეთა,
არ დამაცალა: რაკეტა
მაკეტად გადამაკეთა!

### წუთისოფელი

მოვიხილე ბიჭურ გზნებით
თეთრი ზოლი, შავი არე,
ამოუცნობ ზიგზაგებით
ეს სოფელი გავიარე.
ზოგჯერ მიღებული თარგით,
ხანაც ვჭრიდი უკუღმიდან,
მოვეხეტე ჩემი ბარგით,
ჩემი ფიქრით, ჩემი ხმითა.
ვიცი, ჩემო კარგად ვიცი,
შორს არ არის ჩემი ბოლო,
არ მოვიშლი მაინც სიცილს
და ერთს რასმეს ვნატრობ მხოლოდ:
ვატყობ რაკი, ძველებური
სიჩაუქე აღარ არი,
დე, გაჩერდეს უცებ გული,
ოღონდ ძგერდეს ტვინის ღარი.
ჰოდა, კიდევ ერთს გთხოვ გამჩენს:
მადლს მარილი დააყარე,
სხვათა ბარგად ნუ დამარჩენ,
შენს წიაღში გამახარე.

⊙ ინფორმაცია

## სახელმწიფო დაფინანსება 52-მა მეცნიერმა მოიპოვა

**განათლების სამინისტროს შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ინფორმაციით, ქართველი მკვლევარები მსოფლიოს 20-მდე ქვეყანაში სექტემბერსა და ოქტომბერში გაემგზავრებიან.**

**საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე ქართველი მკვლევარები საქართველოში სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებით**



**მიმდინარე კვლევების შედეგებზე ისაუბრებენ.**

**შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდმა მოკლევადიანი სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის ფარგლებში მიმდინარე წლის ოქტომბრის ჩათვლით ჯამში 132 მეცნიერი დააფინანსა.**

ინტერპრესი

განსჯა

# „თუ სააკაშვილი გადაწყვეტს, რომ რუსეთთან ახალი კავშირი მისთვის სასარგებლოა, საქართველო მასში ბელარუსზე ადრე შევა“

**6 აგვისტოს ჩელიაბინსკის ოლქში კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ შეთანხმების ორგანიზაციის ქვეყნების სამხედრო წვრთნები იწყება, რომელშიც რუსეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის სამხედრო მოსამსახურეები მიიღებენ მონაწილეობას. სწავლების თემა „ერთობლივი ოპერაციის მსვლელობისას საბრძოლო ქმედებების მომზადება და წარმოება“ იქნება. იმის შესახებ, თუ რა სახის სარგებლი შეიძლება, მოუტანოს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს ინტეგრაციამ, „Новые известия“-ს პოლიტიკური ინფორმაციის ცენტრის დირექტორი ალექსეი მუხინი ესაუბრა.**



**— როგორ ფიქრობთ, რუსეთისა და ბელარუსის სამოკავშირეო სახელმწიფოს ერთიანი ცენტრი და ლიდერი ეყოლება?**

— სავარაუდოდ, კი. სამოკავშირეო სახელმწიფოს პრეზიდენტი და ლიდერიც რუსეთის პრეზიდენტი და ლიდერი იქნება.

**— ანუ ბელარუსისა და ყაზახეთის პრეზიდენტები დაქვემდებარებულის მდგომარეობას დათანხმდებიან?**

— ისინი შესაძლოა, ვიცე-პრეზიდენტები გახდნენ, თუ ფანტაზიას დავიხმართ.

**— ეს იქნება არა სამოკავშირეო სახელმწიფო, არამედ ახალი სახელმწიფო?**

— რუსეთის იმპერიის ან სსრკ-ის აღორძინება, მთელი თავისი შესაბამისი სტრუქტურებით.

**— ეს შეიძლება, მთელი დსთ-ის მასშტაბამდე გადაიზარდოს?**

— რატომაც არა? ახლა გაერთიანების შესახებ განხილვაც კი საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების ხელმძღვანელებისთვის ძალიან მტკივნეულია. ისინი უკვე 20 წელია, მიეჩვივნენ ავტონომიურად არსებობას და თავს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად თვლიან. სხვა საქმეა, რომ გაერთიანების გარეშე პრეფერენციაც ასევე მცირე არ არის. რუსეთი ხომ ახალი სსრკ-ის ფარგლებში ყველა რესპუბლიკას გაერთიანებას არ აიძულებს, მან მხოლოდ უნდა შესთავაზოს.

**— და რუსეთი ზესახელმწიფოს სტატუსს დაიბრუნებს?**

— უნდა ვივარაუდოთ. საერთოდ, ინტეგრაციის პროცესი არა მხოლოდ დიდ შიდა სირთულეებს, არამედ საგარეო სირთულეებსაც მოიცავს. მაგალითად, ანგელა მერკელმა პირდაპირი ტექსტით განაცხადა, რომ ევროკავშირი ჩვენი საბაჟო კავშირით (რუსეთი, ბელარუსი, ყაზახეთი) უკმაყოფილოა.

**— რაში შეუშალა მას ამ კავშირმა ხელი?**

— იმაში, რომ კონკურენტია. რუსეთი, რომელიც ბელარუსსა და ყაზახეთთანაა გაერთიანებული, გაცილებით გავლენიანი ეკონომიკური სუბიექტია, ვიდრე ცალკე რუსეთი, ყაზახეთი ან ბელარუსი. რაც შეეხება, კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ შეთანხმების ორგანიზაციას (რუსეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, სომხეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი), ეს ჯერჯერობით მხოლოდ ფორმალური ორგანიზაციაა და მისი ერთადერთი ფუნქცია — პოსტსაბჭოთა სივრცეში ლეგალური მეთოდებით, რუსული სამხედრო გავლენის განხორციელებაა.

**— მართალია თუ არა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნები გაერთიანებას მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდებიან, თუ იქ ის ავტორიტარული ლიდერები შენარჩუნდებიან, რომლებიც ახლა არიან?**

— არა, მე რეჟიმსა და გაერთიანების პროცესს არ დავუკავშირებდი, რადგან ეს სუვერენული სახელმწიფოა და მათი საქმეა, როგორ ირჩევენ ხელმძღვანელობას და რუსეთთან საერთაშორისო ურთიერთობის რა ფორმით შედიან. თითოეული რესპუბლიკისთვის ჰიპოთეტურ კავშირში გაერთიანება წმინდა ინდივიდუალური იქნება. ავტორიტარული სახელმწიფო გაცილებით ოპერატიულად გაწევრდება. დემოკრატიულ სახელმწიფოში ელიტის რამდენიმე ჯგუფი არსებობს, რომლებმაც შესაძლოა, ამ პროცესს ხელი შეუშალონ და ხელისუფლება ამით ისარგებლებს, რათა ივაჭროს და რაღაც პრეფერენცია მოიპოვოს.

**— ე.ი. არსებობს კანონზომიერება იმაში, რომ საქართველოსა და უკრაინასთან ჩვენ არ ვმეგობრობთ, ბელარუსსა და ყაზახეთთან კი ვმეგობრობთ?**

— თუ ხვალ მიხეილ სააკაშვილი გადაწყვეტს, რომ მსგავს კავშირში გაწევრება მისთვის მომგებიანი და სასარგებლოა, მაშინ საქართველო მასში ბელარუსზე ადრე შევა.

**— რატომაა, რომ რიგი პოსტსაბჭოთა ქვეყნები ავტორიტარიზმიდან ვერაფრით გამოვიდნენ?**

— ვფიქრობ, რომ ეს საბჭოთა კავშირის თანდაყოლილი ტრავმაა, რომელმაც მმართველობის ასეთი სტილი ჩამოაყალიბა. გასაგებია, რომ ელიტები, რომლებიც 1990 წლებში ამ რესპუბლიკების ხელისუფლებებში მოვიდნენ, მისი დათმობისთვის სხვადასხვა მიზეზებით მზად არ არიან. დსთ-ის ქვეყნებში დემოკრატიზაციის მიმართ ტენდენციები არ არსებობს. თუ ის რამდენიმე საუკუნის განმავლობაში არ ჩამოყალიბდა, მაშინ რატომ უნდა მოხდეს ეს ბოლო ათწლეულის მანძილზე? ისტორიულად ეს სახელმწიფოები სახანოები არიან, რომლებიც მხოლოდ ერთ — მმართველობის პირამიდულ სისტემას იყენებენ.

**— ამავე მიზეზით არ გადადიან ისინი ნედლეულზე დაფუძნებული ეკონომიკის მოდელიდან?**

— თითოეულ ქვეყანას აქვს ეროვნული პროდუქტი, რომელიც მისთვის საფირმოა. მაგალითად, რუსეთს აქვს ნავთობი და გაზი, აშშ-ს კი ფული. ამ თვალსაზრისით, აშშ ასევე ნედლეულის სუპერიმპერიაა, მხოლოდ ის ფულს აწარმოებს. ეს ნედლეულია, რომელსაც აშშ-ის შეიარაღებული ძალები ყველა სხვა ქვეყანასთან შეძენასა და გამოყენებაში სავალდებულოს ხდიან. სხვა ქვეყნებს ნაკლებად ძლიერი შეიარაღებული ძალები ჰყავთ, ამიტომ მათ ეს არ გამოსდით.

**— თავისთავად მსგავს მოდელს ბევრი სუსტი მხარე აქვს...**

— როგორც პრაქტიკა აჩვენებს, მაღალტექნოლოგიური ეკონომიკა, რომელიც ნედლეულზე არ არის დაფუძნებული, მაგალითად, იაპონური, ასევე კრიზისს ექვემდებარება. მეჩვენება, რომ იაპონური ეკონომიკა გაცილებით უარესია, ვიდრე რუსული.

**— რუსეთისთვის საერთოდ თუ აქვს აზრი ყოფილ რესპუბლიკებთან პოლიტიკურ ინტეგრაციას?**

— რუსეთის წინაშე საბჭოთა ეკონომიკური ინფრასტრუქტურის აღდგენის ამოცანა დგას. მხოლოდ ის აძლევდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მოსახლეობას ნორმალურ ეკონომიკურ დონეზე არსებობის საშუალებას. ის საუკუნეების მანძილზე შენდებოდა და 1991 წელს დანაწევრდა. თუ თქვენ ხელს მოგაჭრიან, ინვალიდი იქნებით, ამ ტერიტორიების გამთლიანება ბუნებრივი პროცესია. 1917 წლის რევოლუციაც სახელმწიფო გადატრიალება იყო. მას გარდაუვალი აღდგენა მოჰყვა და არა 20 წლის შემდეგ, არამედ 1922 წლიდან.

**— და ახლა მისი აღდგენა საყოველთაო კეთილდღეობამდე მიგვიყვანს?**

— ვინ იცის... უნდა ვცადოთ.

მაკა ბრეგვაძე

# ევროზონის დაშლა საქართველოზეც გარკვეულწილად იმოქმედებს

**ეკონომიკის საკითხებში ექსპერტის ირაკლი ლექვინაძის შეფასებით, თუ ევროს გადარჩენა ვერ მოხერხდა, ევროზონის დაშლა, ალბათ, გარდაუვალია, რასაც საქართველოზე გავლენა გარკვეულწილად ექნება.**



**ამის შესახებ ლექვინაძემ „პირველს“ ეკონომიკის პროფესორის ნურიელ რუბინის პროგნოზის კომენტირებისას განუცხადა, რომლის თანახმად, ევროზონა მაქსიმუმ, ექვსი თვის განმავლობაში დაიშლება.**

**„მიმდინარე წელი ევროკავშირის ისტორიაში ყველაზე მწვავეა. კრიზისი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ დაიწყო, პიკშია. პრობლემები საბერძნეთის გარდა, რომელმაც მრავალმილიარდიანი დახმარება მიიღო, უკვე იტალიას, ესპანეთს და პორტუგალიასაც აქვთ. პროფესორ ნურიელ რუბინის პროგნოზი რეალისტურია, თუმცა ყველაფერი გერმანია-საფრანგეთის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, გენერალური გადაწყვეტილება ევროკავშირის დაშლაზე მიღებული არ არის. მართალია, ეს ძვირი უჯდება ამ ორ ქვეყანას, მაგრამ ღირსების საკითხია, რადგან ევროკავშირის დაშლა იქნება ამ იდეის კრახი, რაც ევროპისთვის კარგი არ არის. თუმცა, ძალიან ბევრი საკითხი უფრო აქტიურად გადასახედია, საუბარია, ერთიან ფისკალურ და საგადასახადო სისტემაზე, საბიუჯეტო ვალდებულებების სტანდარტებზე და ა.შ. თუ ევროს გადარჩენა ვერ მოხერხდა, რომელიც უფასურდება, დაშლა, ალბათ, გარდაუვალია. თუმცა, ვფიქრობ, ევროპის ლიდერი ქვეყნები ევროკავშირის გადასარჩენად ყველა რესურსს გამოიყენებენ. ფაქტია, რომ მდგომარეობა კრიტიკულთან ახლოს არის“ — განაცხადა ლექვინაძემ და დასძინა, რომ ჩიხიდან ოპტიმალური გამოსავალი ვალდებულებების შემცირებაა.**



რაც შეეხება ევროზონის შესაძლო დაშლის გავლენას საქართველოზე, ლექვინაძის აზრით, ეს პროცესი, ბუნებრივია, გავლენას საქართველოზე მოახდენს, თუმცა, არა მნიშვნელოვნად.

**„რა თქმა უნდა, გავლენა გარკვეულწილად ექნება, თუმცა ქართული ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში მცირეა (26%), შესაბამისად, აქ დიდი ცვლილებები, ალბათ, არ იქნება. თუ სტატისტიკას დავაკვირდებით, აქამდე არსებულ კრიზისებს საბერძნეთიდან, იტალიიდან და ესპანეთიდან ფულად გზავნილებზეც არ მოუხდენია გავლენა კლების მიმართულებით. ამდენად, ამ ნაწილში მკვეთრი ცვლილებები, ვფიქრობ, არ იქნება. ევროპიდან ინვესტიციები ისედაც მცირეა. ევროზონის დაშლის შემთხვევაში იქნება, ალბათ, ტექნიკური ხასიათის დისკომფორტი ვალუტების ცვლილებასთან დაკავშირებით. ასევე საქართველოზე გავლენას მოახდენს ისიც, რომ ვინც გზავნილს ევროში იღებს, მისი ღირებულება კურსის კლების გამო უფასურდება და მათ გადახდისუნარიანობას ამცირებს“** — განაცხადა ლექვინაძემ.

ცნობისთვის, ეკონომიკის პროფესორის ნურიელ რუბინის პროგნოზით, ევროზონა მაქსიმუმ, ექვსი თვის განმავლობაში დაიშლება.

BPI-ის ინფორმაციით, ამის შესახებ რუბინმა გაზეთ „РБК-DAILY“-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

**„საბერძნეთში სიტუაცია არ გაუმჯობესდება, რამდენადაც ქვეყნის ხელისუფლება უახლოესი ექვსი თვის განმავლობაში ჩამოიშლება, მაგრამ მთავარი პრობლემა ამ ქვეყანაში არ მდგომარეობს. 3-6 თვის შემდეგ იტალია და ესპანეთი კაპიტალის ბაზრებზე ხელმისაწვდომობას დაკარგავენ. პორტუგალიისა და კვიპროსის გარეშე, ევრო შესაძლოა, გადარჩეს, თუმცა სავალუტო კავშირს იტალია და ესპანეთი ჰაერივით სჭირდება. რა თქმა უნდა, შეიძლება, გერმანიასთან ერთად კავშირში ავსტრია, ფინეთი და ჰოლანდია დარჩნენ, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ ევროზონის დაშლა გარდაუვალია“,** — აცხადებს რუბინი.

თელარა გელანტია

## დედამიწის ზურგზე



### სამშვიდობო გეგმა სირიისათვის საბოლოოდ ჩაიშალა

**პრესისა და ექსპერტების აზრით, კოფი ანანის წასვლა გაეროს სპეციალური წარგზავნილის პოსტიდან შეიძლება მივიჩნიოთ იმის აღიარებად, რომ ზღვარი, როდესაც კონფლიქტი სირიაში შეიძლებოდა ჯერ კიდევ გადაგვეწყვიტა მშვიდობიანად, გავლილია. ომი გავიდა შეუქცევად სტადიაზე, ახლა საკითხი მხოლოდ იმაზეა, თუ რამდენი სისხლი დაიღვრება და იქცევა თუ არა ქვეყანა ჯიხადებისთვის ახალ პოლიგონად.**

### იაპონიაში განაახლეს სიკვდილით დასჯა — ჩამოახრჩვეს მანიაკი და მკვლელი ქურდი



**ამ წლისთვის სიკვდილით დასჯილთა რიცხვმა ხუთს მიაღწია, თუმცა შარშან არც ერთი სიკვდილმისჯილი არ დასჯილა ამ ზომით. ამჟამად დაახლოებით 130 უმაღლესი ზომის სასჯელმისჯილი ელოდება თავისი ბედისწერის გადაწყვეტას. ქვეყნის ხელისუფლება აცხადებს, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი მხარს უჭერს საშიში დამნაშავეების ასეთ მკაცრ დასჯას.**

### კიმ ჩენ ინმა მიიღო ჩინეთის პარტიული დელეგაცია



**ჩინეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კიმ ჩენ ინის ხელმძღვანელობით კორეელი ხალხი მიაღწევს „ახალ დიდ წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში“. სიცოცხლეში კიმ ჩენ ირიც ხშირად ხვდებოდა ვან ცზიაჟუს მისი ფხენიანში ვიზიტების დროს.**

### ირანი დათანხმდა, აგვისტოს ბოლოს განაახლოს მოლაპარაკება ბირთვულ პრობლემაზე

**ამის შესახებ განაცხადა საზღვარგარეთის საქმეებსა და უშიშროების საკითხებში უმაღლესმა წარმომადგენელმა კეტრინ ეშტონმა. ამ დროს ქალბატონს არ დაუდასტურებია, საკითხი შეეხება მის პირად შეხვედრას უმაღლესი ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანთან საიტ ჯალელთან თუ სატელეფონო საუბრებს.**



## ადამიანი და შრომა

# უმუშევარი ვის ჰქვია, კანონმდებლობისთვის უცნობია,

## ანუ პრობლემა, რომელიც საქართველოს მთავრობისთვის პრობლემა არ ყოფილა!




**„ხელისუფლების უმთავრესი ყურადღების საგანი უნდა გახდნენ ის ადამიანები, ვინც ჯერჯერობით ჯანმრთელია და იმყოფება იმ ასაკში, როდესაც კიდევ 10-40 წელი შეუძლია თავისი შრომით სარგებელი მოუტანოს საკუთარ ოჯახს და ამით მთლიანად საქართველოს სახელმწიფოს“, — ქვეყანაში დასაქმების პრობლემებისადმი ამ მეორე წერილსაც არასამთავრობო ორგანიზაციის „უმუშევართა კავშირის“ საქართველოს კანონის პროექტზე „უმუშევართა დაცვის შესახებ“ განმარტებითი ბარათის ამონარიდით შემთხვევით არ ვიწყებ. თუ რატომ, ამას, ვფიქრობ, ბევრი ტვინის ჭყლეტა არ სჭირდება, რადგან მიზეზის ახსნა თავად ციტატის ტექსტშია მოცემული. თანაც აღნიშნულ კანონპროექტზე ლაპარაკი, რომლის თაობაზე უმუშევართა კავშირის ხელმძღვანელმა თამარ იოვაშვილმა მიამბო, წინა მასალაში დავიწყე.**

— კანონპროექტით განსაზღვრულია დასაქმების სამსახურის ჩამოყალიბების, ფუნქციონირებისა და უმუშევრობისთვის მინიმალური სოციალური დახმარების უზრუნველსაყოფად საჭირო სამართლებრივი ნორმები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ უმუშევრობისა და დასაქმების პრობლემათა გადაწყვეტას, — ამბობს ქალბატონი თამარი. — ამიტომ მასში თავშივე განსაზღვრულია, თუ რომელი პირი შეიძლება იყოს უმუშევრობის სტატუსის მქონე, ჩამოყალიბებულია დასაქმების სამსახურის ორგანიზების პრინციპები, მისი ფუნქციები და სოციალური დახმარების პაკეტის შინაარსი, რომელიც უმუშევრებს უნდა მიეწოდოს. ესენია, კერძოდ, **სამედიცინო პოლისი, უმუშევრობის შემწეობა, ასევე მუნიციპალური ტრანსპორტით უფასო მგზავრობა.**

როცა დასაქმების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაატა ტრაპაიძის დაპირებისამებრ მონიტორინგის უფლებას მივიღებთ, რამდენიმე ფონდს, ვთქვათ, „ღია საზოგადოება — საქართველო“, სხვებს მივმართავთ საქმის საკეთებლად საჭირო სახსრების გამოყოფის თაობაზე.

კითხვაზე, ეყოფათ თუ არა საამისოდ ადამიანური რესურსი, კავშირის ხელმძღვანელმა მიპასუხა, რომ ორგანიზაციაში 300-ზე მეტი კაცია გაწევრებული, რაც საქმის გასაძღოლად სავსებით საკმარისია. თუმცა კი, ამავდროულად, ეჭვი გამოთქვა იმის თაობაზე, თუ როგორ შეძლებენ თავად სოცაგენტები უმუშევართა და სამუშაოს მაძიებელთა „კარდაკარის“ პრინციპით აღრიცხვის ჩატარებას ძალიან მოკლე დროში, როცა თითოეულ ოჯახში შრომისუნარიან წევრთა აღწერას 2-3 საათი დრო სჭირდება.

— წინასაარჩევნოდ განა ამდენი ან ხალხი სად არის, ყველაფერი მოასწროს, ან განა დრო ეყოფათ? — კითხვას სვამს ქალბატონი თამარი. — ამიტომ მიმაჩნია, რომ **ესაა ნაციონალური მოძრაობის აშკარა რეკლამირება, რაც კანონმდებლობის იგნორირებით ხორციელდება, რადგან ამას არა თავად პოლიტიკური პარტია, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტი, ანუ თითოეული ჩვენგანი დააფინანსებს!**

მისი თქმით, ამ აღწერის კიდევ ერთი საგანგაშო გარემოება ისაა, რომ ანკეტა 15 წელს ზევით ასაკის მოზარდებზეც შეივსება, რაც, ფაქტობრივად, არასრულწლოვანთა შრომით ექსპლუატაციას გულისხმობს, რაც საქართველოს კანონმდებლობით რეგლამენტირებული არ არის. უმუშევართა კავშირის მიერ შემუშავებული კანონპროექტის „უმუშევართა სოციალური დაცვის შესახებ“ მე-5 მუხლში, კერძოდ აღნიშნულია: **„უმუშავრად არ შეიძლება ჩაითვალოს: ა) 16 წლამდე ასაკის პირი...“**

— სხვა თუ არაფერი, განა 15 წლის მოზარდმა არ უნდა ისწავლოს? არადა, როცა მას არა დროებით (ვთქვათ, არდადეგებზეძ, არამედ მუდმივ სამუშაოს სთავაზობ, განა სწავლაზე ხელს არ აღებინებ და ეს ერის „სტაიანშჩიკებად“, მიმტანებად, დამხმარე მუშებად ჩამოყალიბებას არ უწყობს ხელს? — ცხარობს ქალბატონი თამარი. — მესამე გარემოება კი ისაა, რომ **უმუშევრობის რეგისტრაციის უფლება ამჟამად აქვს არა მარტო საქართველოს მოქალაქეებს (რაც, როგორც წინა წერილში აღვნიშნე, ქვეყნის კონსტიტუციის 32-ე მუხლში სავსებით გარკვევითაა ჩაწერილი და რაც საგანგებოდ ხაზგასმით გამოვყავი — ო.ტ.),** არამედ მოქალაქეების არმქონე პირებსაც, ანუ უცხოელებსაც!

აქვე მინდა გავიხსენო ადგილობრივი მუშახელის სოციალური დაუცველობის ისეთი აღმაშფოთებელი ფაქტი, რაც თბილისის შემოვლითი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობაზე ხდება, რომელსაც ჩინური კომპანია ახორციელებს. **აღნიშნულ მშენებლობაზე სულ რამდენიმე ადგილობრივი მუშაა დასაქმებული, რომელთა სამუშაო დღე არანორმირებულია, რაშიც დღეში 23 ლარს უხდიან. დანარჩენები ჩინელები არიან, რომლებიც 8-საათიან ცვლებში მუშაობენ, ხოლო მათი დღიური გასამრჯელო 70 ლარია!** მეტი დისკრიმინაცია რაღა უნდა იყოს?!

კიდევ ერთი აშკარად დისკრიმინაციური მომენტია ასაკობრივი ცენზით მუშაკთა სახელმწიფო უწყებებში, ხშირად კერძო კომპანიებშიც მიღება, რაზეც სახელმწიფო მინისტრმა მითხრა, ამ გადაცდომას შევებრძოლებითო. კი, მაგრამ თქვენს გამოსვლაშიც რომ აღნიშნეთ, სახელმწიფო მინისტრის ახლადშექმნილ აპარატში 25-კაციანი ახალგაზრდული, ენერგიული ჯგუფი გვყავსო, და ეგ როგორღაა-მეთქი? — არა, ბატონო, — მიპასუხა მინისტრმა, — ჩვენ შტატში კიდევ ოთხი ადგილი გვაქვს, რომლებზეც კონკურსს გამოვაცხადებთ და უფრო ასაკოვანი ხალხის აყვანას ვეცდებითო...

თუ რას ნიშნავს სახელმწიფო მინისტრის ეს განცხადება, ამის კომენტირებას არ შევუდგები, დასკვნის გამოტანა თქვენთვის მომინდვია, პატივცემულო მკითხველო!

— საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ **ყველაფრის თავი და თავი შრომის კოდექსია:** ვიდრე ეს საკითხი არ მოწესრიგდება, საქმეს არაფერი ეშველება, — განაგრძობს ქალბატონი თამარი. — ამჟამად მოქმედ კოდექსში 37-ე, 38-ე, ზოგიერთი სხვა მუხლი აშკარად დისკრიმინაციულია — **დამსაქმებელს, ფაქტობრივად, ყველაფრის უფლება აქვს, დასაქმებული კი სრულიად უუფლებოა იმიტომ, რომ საკუთარი თავის დასაცავად არავითარი მექანიზმი არა აქვს. უმუშევარი კაცი, შემწეობის უქონლობის პირობებში, სრულიად უმწეო მდგომარეობაში, შიმშილისთვის განწირული რჩება, რადგან ამ სახელმწიფოში მისი კარგად თუ ავად ყოფნა არავის აინტერესებს, სახელმწიფოს დარდი არა აქვს, კაცს რა მოუვა.**

გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას (70 პროცენტსძ ყველაზე მეტად უმუშევრობის პრობლემა აღარდებს, მაგრამ უბედურება ისაა, **რაც მეტს ვმუშაობთ ამ საკითხზე, მით უფრო ნაკლები იმედი მაქვს მისი სასიკეთოდ გადაჭრისა.** თუმცა ესეც კია, ახლა ჩვენ ბრძოლას გაცილებით მეტი აზრი აქვს, თორემ უწინ არც არაფერი კეთდებოდა, თან თავად პრობლემაზეც კი არავინ ლაპარაკობდა. თავის დროზე შრომითი კანონმდებლობის მიღებასთან დაკავშირებით ჩვენ პრეზიდენტს, მაშინდელ პრემიერ-მინისტრ გილაურს, პარლამენტის თავმჯდომარეს, ჯანდაცვის მაშინდელ მინისტრს, კიდევ სხვებს მივწერეთ. მათგან ზოგმა პასუხის ღირსიც არ გაგვხადა, ზოგმაც ცინიკურად გვიპასუხა — ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, „ფრიადზეაო“!

როცა „უმუშევართა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონპროექტი შევიმუშავეთ და ცესკოს სარეფერენდუმო კომისიას რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე მოთხოვნა გაუგზავნეთ, რომელიც საქართველოს მოქალაქეს უმუშევრობის შემწეობის ქონა-არქონის საკითხს შეეხებოდა, უარი მივიღეთ: **საქართველოს კანონმდებლობისთვის ცნება „უმუშევარი“ არ არსებობს, რადგან მასში იგი აღნიშნული არ არის, ხოლო თავად უმუშევრობა ის საკითხია, რომელსაც მთავრობისთვის რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვსო (?!).**

**ამასთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელი შევიტანეთ, რამდენიმე პროცესიც გაიმართა, რომელთა შედეგად სამმა (!!) სასამართლომ, მათ შორის სააპელაციომაც, სიტყვასიტყვით სარეფერენდუმო კომისიის პასუხი გაიმეორა: უმუშევრობა საქართველოს მთავრობისთვის პრობლემა არ არისო!**

როცა უმუშევრობის პრობლემის გადასაჭრელად სახელმწიფო სტრუქტურა შეიქმნა, გაგვიხარდა, რომ საქმე „მკვდარი“ წერტილიდან დაიძრა, მაგრამ, სამწუხაროდ, ახლა, როცა ვხედავ, თუ რა გზით მიდის საქმე, უფრო მეტი უიმედობა დამეუფლა. ამის მიზეზი გაინტერესებთ? **როცა სახელმწიფო მინისტრ პაატა ტრაპაიძეს წინადადებით მივმართე — უმუშევართათვის შემწეობები დაგვეწესებინა, თან თავად დასაქმების სამსახური გაგვემართა ჯეროვნად, მიპასუხა: — არა, ჯერ სინგაპურისა და ბრაზილიის გამოცდილებას უნდა გავეცნოთ კარგადო. ხოლო როცა ვუთხარი, კი მაგრამ, რაღა ბრაზილია, აგერ, ვთქვათ, გერმანია, ან საფრანგეთი, არ არიან, რომელთა გამოცდილების გაზიარება უფრო წაგვადგებოდა-მეთქი, მიპასუხა: — როგორ შეიძლება საფრანგეთის გამოცდილების გადმოღება, რომლის რესპუბლიკა 200 წელზე მეტს ითვლის, ჩვენ კი სულ რაღაც 8-წლიანი ვართო!**

ბოლოს მხოლოდ იმის თქმაღა შემიძლია, რომ ცოტა ხნის წინათ ბატონი სახელმწიფო მინისტრი უმუშევრობის დაძლევის გამოცდილების გასაცნობად თავის ახალგაზრდა მოადგილესთან ერთად ლიტვაში ბრძანდებოდა, ამჟამად საქართველოს რეგიონებში ეცნობა მდგომარეობას. თუმცა, ამის შესახებ ამ მასალის პირველ ნაწილში უკვე მოგახსენეთ. ამიტომაც პირადად მისგან ინტერვიუ ვერ ავიღე, თუმცა კი იმედს მაინც არ ვკარგავ.

**ოთარ ტურაბელიძე**

**დასასრული. დასაწყისი იხ. № 147**

## სიურპრიზი?

# „სიახლეები“ ავტომფლობელებისთვის

**თვე არ გავა, ავტომფლობელებს ახალი სიურპრიზი არ მოუმზადონ. კანონში ცვლილებები იმდენად სწრაფად შედის, რომ დამახსოვრება კი არა, თვალის მიდევნებაც კი ჭირს.**

**1-ლი აგვისტოდან ახალი დიზაინის მართვის მოწმობების გაცემა დაიწყო. ძველი დიზაინის მოწმობის მფლობელს ახლის აღების სურვილის შემთხვევაში 16 ლარის გადახდა და 15-20 წუთით მოცდა მოუწევს. შეცვლა შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ სერვისცენტრშია შესაძლებელი.**

**მართვის მოწმობის აღების ტარიფები არ შეცვლილა და 57 ლარი დარჩა. შეიცვალა მოწმობის მოდელი და ბიომეტრული გახდა. ამასთან, დოკუმენტის ავერსზე მფლობელის ფოტოსურათი შეიძლება არ იქნეს დატანილი.**

**მართვის მოწმობის აღება ახლა უკვე 16 წლის მოქალაქესაც შეუძლია. ამასთან, შეიცვალა კატეგორიების რაოდენობა და ცხრის ნაცვლად, 15 კატეგორიის მართვის მოწმობა გაიცემა. ახალი დიზაინის მართვის მოწმობა სავალდებულო 2018 წლიდან გახდება.**

**ბრძანებულებას საქართველოს პრეზიდენტმა, 26 აპრილს მოაწერა ხელი და იგი ძალაში უკვე 1-ლი აგვისტოდან შევიდა.**

ეს ნიშნავს, რომ ძველი მოწმობის გამოცვლა გარკვეული თანხა ჯდება. მართალია, 2018 წლამდე ეს პროცედურა ნებაყოფლობითია, მაგრამ გამორიცხული არ არის, ვადამ გადმოიწიოს. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე მართვის მოწმობები უკვე მეოთხედ შეიცვალა და ავტომფლობელები მის გაცვლა-გამოცვლას ვერ აუდიან.

გარდა ამისა, **მძღოლებს საგზაო მოძრაობის წესების დარღვევასთან დაკავშირებით მუდმივად სიახლეებს სთავაზობენ და ყველა ეს სიახლე ჯარიმის დაწესებასთან ან მისი ოდენობის ზრდასთან არის დაკავშირებული.**

**რამდენიმე დღის წინათ დედაქალაქის მასშტაბით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის პარკირების 350-მდე სპეციალური ადგილი გამოიყო, სადაც მხოლოდ აღნიშნული კატეგორიის მძღოლები შეძლებენ მანქანების გაჩერებას. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები პარკირების მანიშნებელ სპეციალურ სტიკერებს მერიაში აიღებენ და შემდეგ შეუფერხებლად გააჩერებენ ავტომობილებს.**

**ყველა სხვა პირს, რომლის მანქანასაც პარკირების სპეციალური მანიშნებელი სტიკერი არ ექნება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის გამოყოფილი პარკირების ადგილით ისარგებლებს, 1-ლი აგვისტოდან ადმინისტრაციული ჯარიმის გადახდა მოუწევთ. ჯარიმა ჯერჯერობით 10 ლარია, მაგრამ, შესაძლოა, მალე გაიზარდოს კიდეც.**

გაზაფხულზე ამოქმედდა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაწესებული გაზრდილი ჯარიმებიც. ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ დარღვევაზე ჯარიმის ოდენობა მინიმუმ გაორმაგებულია.

**„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შეტანილი ცვლილებებით, საქვეითო გადასასვლელის გავლის, საგზაო ნიშნის, ან გზის სავალი ნაწილის მონიშვნის ხაზების, ბუქსირების, გარე სანათი ხელსაწყოთი ან ხმოვანი სიგნალით სარგებლობის, სასწავლო სვლის, საცხოვრებელ ზონაში, ან ავტომაგისტრალზე მოძრაობის წესების, ან სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის პრიორიტეტის დარღვევა, აგრეთვე მოტოციკლით ან სხვა სატრანსპორტო საშუალებით ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა ქალაქში, ან სხვა დასახლებულ პუნქტში, რაც აფერხებს საგზაო მოძრაობას, ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას — იწვევს დაჯარიმებას 20 ლარის ოდენობით.**

**გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების, მოძრაობის დაწყების, ან მანევრირების წესების დარღვევა 50 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს. ასევე 50 ლარით დაჯარიმდება ავტომობილის მძღოლი, რომელიც მარეგულირებლის, ან შუქნიშნის ამკრძალავ ნიშანზე გავლის წესებს არ დაიცავს.**

**100 ლარამდე გაიზარდა შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთის ჯარიმა. დარღვევის განმეორებითი ქმედებისას კი, ჯარიმის ოდენობა 200 ლარი იქნება.**

**200 ლარით დაჯარიმდებიან მძღოლები საავარიო ვითარების შექმნასა, ან მოძრაობის ისეთი შეფერხებისას, რომელიც საცობს გამოიწვევს.**

**სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვება სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების, ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, 250 ლარით დაჯარიმდება.**

**აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული გარემოებების გამოვლენისას საქმის განმხილველ ორგანოს შეუძლია სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა შეცვალოს ჯარიმით 500 ლარის ოდენობით.**

**„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შეტანილი ცვლილებებით, გაიზარდა ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისთვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ საურავების მოცულობაც. საურავების მოცულობა 150 და 500 ლარით განისაზღვრა.**

**ეკა ბაქრაძე**

ოლიმპიადა 2012

# ქართველები ლონდონში

**დიდი ბრიტანეთის დედაქალაქის ოლიმპიურ ტატამზე ბოლო იმედად საქართველოს სამგზის ფალავანი ადამ ოქრუაშვილი გვრჩებოდა, რომელსაც წილისყრამ მძიმე ხვედრი არგუნა — პირველსავე წრეში სახელოვან გერმანელ ძიუდოისტს — ორგზის მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანსა (2010, 2011 წ.წ.) და ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს (2010) ანდრეას ტულცერს დაუპირისპირდა.** როგორც წინა ორი დღის პაექრობები, ეს შეხვედრაც ულიმღამოდ წარიმართა. ოქრუაშვილმა ზედიზედ სამი გაფრთხილება მიიღო, მერე შებოჭვაზე მოყვა და სუფთად წააგო, რითაც მეშვიდე ქართველი ძიუდოისტისთვისაც ოლიმპიადა დამთავრდა. ჩვენმა კიმონოიანებმა, როგორც ჩინეთში, ლონდონშიც შეჯიბრება ერთი ოქროთი დაასრულეს.







გუშინვე ოლიმპიურ ფიცარნაგზე B ჯგუფში ძალები მოსინჯა 2012 წლის ევროპის ჩემპიონმა რაულ ცირეკიძემ (85 კგ). ატაცში მან მხოლოდ პირველი ცდა გამოიყენა — 162 კილოგრამი. მერე შტანგა ხუთი კილოთი დაამძიმა, მაგრამ ორივე ცდა ამაო გამოდგა. აკვრაში ორი მისვლა წარმატებული გამოდგა — 195 და 200-კილოგრამიანი შტანგები დაიმორჩილა, 202 კილოს კი ვერ მოერია და ორჭიდში 362 კილოგრამით დაასრულა ასპარეზობა.

**ლექსო ცინცაძე**

აშკარა, დასაჯერებელი

# ცოცხალი ლეგენდები

**ლონდონის ოლიმპიადის პირველი კვირა მიიწურა და, ბუნებრივია, ეს პერიოდი უკვე მრავალმა მილწევამ დაამშვენა, მაგრამ ორიოდე მათგანი მაინც განსაკუთრებულად მიგვაჩნია და, ვფიქრობთ, ღირს გაგიზიაროთ აღფრთოვანება.**

უპირველესად იმ რეკორდის შესახებ, რომე-



ლიც ფენომენურმა ამერიკელმა მოცურავემ მაიკლ ფელპსმა დაამყარა.

დიდი ბრიტანეთის დედაქალაქის ცისფერ ბილიკებზე მან უკვე მოასწრო ორ-ორი „ოქროვერცხლის“ მოპოვება და პირადი საერთო მონაგარი უკვე 20(!) ოლიმპიურ მედლამდე გაზარდა სამ თამაშში, რითაც გამოჩენილი რუსი ტანმოვარჯიშის ლარისა ლატინინას მაჩვენებელი გააუმჯობესა (18 ჯილდო). კიდევ უფრო შთამბეჭდავია ოკეანისგაღმელის უპირატესობა ოქროს მედლების რაოდენობის მხრივ (16:9). დავძენთ, რომ იგი სტარტზე კიდევ ორჯერ გამოვა და, სავსებით შესაძლებელია, კიდევ უფრო გაიმდიდროს კოლექცია.

რაც შეეხება მეორე გასაოცარ ფაქტს, იგი ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელ ვაჟთა „ოცნების გუნდს“ უკავშირდება, რომელიც ჯგუფური რაუნდის შეხვედრაში ნიგერიელებს უმოწყალოდ გაუსწორდა — 16:73.

აღსანიშნავია, რომ პირველ პერიოდში ბრაიანტმა, ენტონიმ, ჯეიმსმა, დიურანტმა, ლავმა და კომპანიამ აფრიკელთა კალათში 14-დან 11(!) სამქულიანი ჩააგდო (78 პროცენტი). დაგვეთანხმებით, უნიკალური შედეგია.

**ვიტალი ჯაფარიძე**




ფეხბურთი

# კაცი რომ საკუთარ თავს აჯნებს

**ამ ჩვენმა დამაქცევარმა მთავრობამ რომ წაგვჭამა თავი, ჯანდაცვის რეფორმა, ჯანდაცვის რეფორმაო, ნუთუ ქვეყანაში ერთი დამამშვიდებელი პრეპარატი გაწყდა, ემოციამოჭარბებულ სპორტსმენთა ვნება რომ დააოკოს.**

ამას რომ ვამბობთ, ერთ-ერთი პირველი გოგიტა გოგუა გვახსენდება, რომელიც, მართალია, წმინდა საფეხბურთო მონაცემებით ჩვენს კვალობაზე მართლაც კარგი მოთამაშეა, მაგრამ მისი პიროვნული თვისებებისა და ფსიქოლოგიური სიმტკიცისა რა მოგახსენოთ.



ეტყობა, ამის ბრალიცაა, ფეხის მოკიდება ყველგან რომ უჭირს. წინა სეზონებზე რომ არაფერი ვთქვათ, შარშან ეროვნული ნაკრებიდან და თბილისის „დინამოდან“ სკანდალური წასვლაც მოწმობს, რის შემდეგაც გორის „დილამ“ მიიწვია.

აი, სწორედ ევროპის ლიგის



III საკვალიფიკაციო რაუნდის სასტარტო მატჩში გააწბილა კიდევ ერთხელ საკუთარი და შიდაქართლელთა ქომაგები გოგუამ, როცა ვაკის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე კვიპროსის ქალაქ ფამაგუსტას „ანორთოსისთან“ გამართული შეხვედრის 57-ე წუთზე ნორვეგიელ მსაჯს იონსენს მეორე გაფრთხილების გამო მინდვრიდან გააძევებინა თავი.

თითქოს ამ მომენტს უცდიდნენო, სტუმრებმა გააძლიერეს დაწოლა სკენდერის კარზე და მალე მიზანსაც მიაღწიეს — იოანის ოკასმა ზუსტი თავური დარტყმით გაგზავნა კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი შორეულ ცხრიანში — 0:1.

მთლიანობაში კი „დილამ“ მადლობა უნდა შესწიროს უფალს, საპასუხო მატჩზე მინიმალური დეფიციტით რომ მოუწევს გამგზავრება, თუმცა იქ რისი იმედი შეგვიძლია ვიქონიოთ, ძნელი სათქმელია, რადგან შინ კუნძულელ მეტოქეთა კარს სერიოზულად ერთადერთხელ(!), ისიც ბოლო წუთებზე დავემუქრეთ (კვირკველია).

**გიორგი შოთაძე**

ჭადრაკი

# არაბიძემ მოგებით დაიწყო

**საბერძნეთის დედაქალაქში დაიწყო 20 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობა, რომელშიც საქართველოს ოთხი წარმომადგენელი მონაწილეობს.** ასპარეზობის სტარტზე 18-წლიანებში მსოფლიოს ჩემპიონმა მერი არაბიძემ სლოვენიელი სპელა კულარაჩი დაამარცხა. ასევე ქულა ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში შეჯიბრების რეიტინგფავორიტმა ანასტასია ბოდნარუკმა (რუსეთი), 20-წლიანებში მსოფლიოს ჩემპიონმა დეიზი კორამ (პერუ), ალინა კაშლინსკაიამ, ალექსანდრა გორიაჩკინამ (ორივე — რუსეთი), ირინა ბულმაგამ (რუმინეთი), ნასტასია ზიაზიულკინამ (ბელარუსი), სულ 31-მა მოჭადრაკემ. ნანი უნაფქოშვილი გერმანელ ჰანა-მარი კლერთან დამარცხდა. ვაჟებში შალვა ნადირაშვილი უნგრელ ოლივერ მიშოკს დაუზავდა, დიმიტრი კვარაცხელიამ კი ჩინელ ვიე იისთან წააგო.



**ლაშა დიდია**

## „სად წაიყვან სადაურსა“

**კრებულიდან „100 ქართველი უცხოეთში“**

# ექვთიმე მთაწმინდელი. 955-1028



**ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი, მთარგმნელი და სასულიერო მოღვაწე. მამამისი, სამცხის დიდებული იოანე ჩორდვანელი (იგივე იოანე მთაწმინდელი), თორნიკე ერისთავის ახლო ნათესავი, ქართველთა სამონასტრო კოლონიის ფუძემდებელი გახლდათ ათონზე; როდესაც ის ბერად აღიკვეცა, მცირეწლოვანი ექვთიმეს აღზრდა ითავეს იოანე მთაწმინდელის სიმამრმა და ცოლისძმებმა.**

ბიზანტიის იმპერატორთან მძევლად გაგზავნილ აზნაურთა შვილებს შორის აღმოჩნდა ექვთიმეც. იმპერატორის ნებართვით იოანემ შვილი დაიბრუნა და ულუმბოს მთაზე მიიყვანა. 10 წლის ბავშვი მამასთან ერთად დაემკვიდრა ათანასეს ლავრაში.

იოანეს გარდაცვალების შემდეგ ექვთიმე მთაწმინდელი 1005-1019 წლებში იყო ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი. ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო უფრო ადრე, 975-977 წლებში. ბერძნული ენის შესანიშნავი მცოდნე, თარგმნიდა ბერძნულიდან ქართულადაც და ქართულიდან ბერძნულადაც.

ერთობ თავისებურია ექვთიმე მთაწმინდელის მთარგმნელობითი მეთოდი: უცხო იყო მისთვის ტექსტის სიტყვასიტყვით გადმოღება. ის საჭიროებისამებრ ავრცობდა ან ამოკლებდა სათარგმნელ თხზულებას, შეჰქონდა იქ სხვადასხვა ცნობა და საკუთარი კომენტარები. ექვთიმე მთაწმინდელმა თავისი თარგმანებით თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართველთა მხრივ ბიზანტიური კულტურის გაცნობა-ათვისების საქმეში. მას ნათარგმნი აქვს ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, ანდრია კრეტელის, ბასილი კესარიელის, გრიგოლ ნოსელის, იოანე ოქროპირის, იოანე დამასკელისა და სხვათა ნაწარმოებები, ჰაგიოგრაფიული თხზულებანი. ეს ექვთიმე მთაწმინდელმა შეუქმნა სამონასტრო წესი იქაურ ივერთ.

მას მიეწერება „ვარლამისა და იოასაფის“ რომანის („ბალავარიანის“ძ თარგმნა ქართულიდან ბერძნულად, რომლის შემდგომი ლათინური თარგმანი გახდა საფუძველი შუა საუკუნეების მთელი ევროპის საერო ლიტერატურისათვის.

**მოამზადა**
**თამაზ ებანოიძე**

## ინფორმაცია

### კომუნიკაციების კომისიას კანონდარღვევაში ადანაშაულებენ

**კოალიცია „მედიის ადვოკატირებისათვის“ კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას მაუწყებლობის სავალდებულო ტრანზიტის, Must Carry-ს შესახებ კანონის დარღვევაში ადანაშაულებს.**

როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე კოალიციის წარმომადგენელმა ლევან დოლიძემ განაცხადა, კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ დაარღვია კანონით დაკისრებული ვალდებულება და დადგენილ ვადებში არ გამოაქვეყნა ინფორმაცია იმ მაუწყებლებსა და მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირების შესახებ, რომელთა მიმართაც Must Carry-ს დებულებები ვრცელდება. მისივე თქმით, კომისიის წარმომადგენლები მედიის საშუალებით ახდენენ კანონის არასწორ ინტერპრეტაციას.

„კომისიის განცხადების თანახმად, მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებულ პირებს შესაბამისი სამაუწყებლო არხების თავიანთ მომსახურების პაკეტში ჩასმის ვალდებულება მხოლოდ მას შემდეგ წარმოეშობათ, რაც ტელეკომპანიის წერილობით შეტყობინებას მიიღებენ და თავად ტელეკომპანიები უზრუნველყოფენ სიგნალის მიწოდებას. კანონის ამგვარი განმარტება არ შეესაბამება Must Carry-ს შესახებ მიღებულ საკანონმდებლო აქტის მოთხოვნებს, ვინაიდან საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლი საერთოდ არ ითვალისწინებს ტელეკომპანიების მიერ წერილობითი შეტყობინების ან სიგნალის მიწოდების ვალდებულებას“, – განაცხადა ლევან დოლიძემ.

### შპს „ბურჯის“ ქონება აუქციონზე 8 761 513. 55 ლარად გაიყიდა

**ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ აღსრულების ეროვნულ ბიუროში აცნობეს.**

**ქონებაში სასაწყობე ფართებთან ერთად, ავტომობილებიც შედიოდა. როგორც აღსრულების ბიუროში აცხადებენ, შპს „ბურჯის“ ქონებაზე დაინტერესება დიდი იყო და ინტერნეტ-აუქციონის მეშვეობით ქონების შესასყიდად რამდენიმე მომხმარებელი ვაჭრობდა.**

აღსრულების ეროვნულ ბიუროში არ დააკონკრეტეს, ვინ იყიდა შპს „ბურჯის“ ქონება და განაცხადეს, რომ მყიდველმა თანხა 10 დღეში უნდა გადაიხადოს.

„ბურჯის“ ქონებაზე საწყისი ფასი იყო 5.153.831 ლარი და 50 თეთრი.

შპს „ბურჯი“ აუდიტის სამსახურის ოქმის საფუძველზე, კოალიცია „ქართული ოცნებისთვის“ შეღავათიანად ავტომობილების მიქირავებისათვის, ასევე, კოალიციის ოფისებით შეღავათიან ფასებში გარემონტებისათვის 10 მილიონამდე ლარით დააჯარიმეს. კომპანიამ ჯარიმის თანხა არ გადაიხადა, რის შემდეგაც ქონება დაყადაღდა და აუქციონზე გავიდა.

### „ქართული ოცნების“ აქტივისტს პოლიციელი იარაღით ემუქრებოდა

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ორულუში „ქართული ოცნების“ აქტივისტის ემზარ ცაავას სახლში გუშინ ინციდენტი მოხდა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, ცაავების ოჯახს სახლში ნათესავი, მთვრალი ზუგდიდის საპატრულო პოლიციის თამამშრომელი ირაკლი ცაავა შეუვარდა. მან ემზარ ცაავას „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობის შეწყვეტა მოსთხოვა.**

ემზარ ცაავა ამბობს, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომელს ხელში ტაბელური იარაღი ეჭირა და მას კოალიციასთან თანამშრომლობის შეწყვეტას სთხოვდა. კოალიციის წევრის თქმით, მათ შორის დაპირისპირება დღემდე არ ყოფილა.

**„მაგიდა გადმოაყირავა, იარაღი ხელში დაიჭირა და მითხრა, არ არის გამორიცხული, ეს იარაღი შუბლზე მოგადოო. გარეთ გაღწევა მოვახერხე და 2 საათი თხილნარში ვიმალებოდი“ ,** – აცხადებს ემზარ ცაავა.

მისი მეზობლების თქმით კი, ცაავების სახლიდან ხმაური და მუქარა ისმოდა. ემზარ ცაავას ნასვამი მამაკაცი ემუქრებოდაო.

ემზარ ცაავამ მომხდარ ფაქტზე სამართალდამცავ ორგანოებს წუხელ გვიან ღამით მიმართა.

### ფოთის მერმა თანამდებობა დატოვა

**ფოთის მერმა ვახტანგ ლემონჯავამ თანამდებობა დატოვა. ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, ვახტანგ ლემონჯავა ჩხოროწყუში „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატი იქნება და თანამდებობის დატოვებაც სწორედ ამ ფაქტს უკავშირდება.**

ფოთის ახალ მერს ქალაქის საკრებულო მას შემდეგ დაამტკიცებს, რაც მერობის კანდიდატთა განცხადებებს მიიღებს და განიხილავს.

**ინტერპრესნიუსი**

## ჩვენი კარაბადინი

### გავხდეთ კვერცხით!



**წავიკითხე, რომ თუ საუზმეზე მივირთმევთ კვერცხს, შეიძლება გავხდეთ. ნუთუ ეს სიმართლეა?**

**დიახ, ორი კვერცხი საუზმეზე არა მხოლოდ ენერგიას გვმატებს, არამედ საშუალებასაც გვაძლევს, რომ გავხდეთ. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მედიკოსები პენინგტონის (ლუიზიანა) ცენტრიდან. ისინი ამტკიცებენ, რომ კვერცხის საუზმე გვეხმარება ვიგრძნოთ დანაყრება უფრო დიდხანს, ვინაიდან მასში მაღალხარისხოვანი ცილებია.**

მეცნიერებმა ის 20 მოხალისე მოიწვიეს, ვისაც სიმსუქნე აწუხებდა. პირველი ჯგუფი საუზმეზე მიირთმევდა მარცვლეულს, მეორე – კვერცხს. რამდენიმე საათის შემდეგ მეორე ჯგუფის მონაწილენი თავს გრძნობდნენ უფრო ნაკლებად მშივრებად, შესაბამისად – სადილობის დროსაც ნაკლებ საკვებს ღებულობდნენ.

ამერიკელ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ასეთ ეფექტში „დამნაშავეა“ გრელინი – ჰორმონი, რომელიც მადის სტიმულირებას ახდენს და კვერცხში ცოტაა. აი, აქ ჰორმონი, რომელიც მუშაობს, როგორც სიგნალიზაცია, ატყობინებს ადამიანს, რომ ის დანაყრებულია, ზომაზე მეტია.

### ბოსტნეული – ანთების წინააღმდეგ

**დიდი ოდენობით ბოსტნეულის მიღება გვიცავს პანკრეატიტისგან, ასეთია სტოკჰოლმში სამეფო ინსტიტუტის მეცნიერთა მონაცემები. მათი მონაცემებით, ადამიანები, რომლებიც დღეში ოთხამდე პორცია (დაახლოებით 400 გრამი) ბოსტნეულს ღებულობენ, 41 პროცენტით ამცირებენ საკუთარ რისკს, გადაეყარონ კუჭქვეშა ჯირკვლის ანთებას, იმათთან შედარებით, ვინც დღე-ღამეში მხოლოდ ერთ პორციას მიირთმევენ.** ეფექტი გვინარჩუნდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადამიანს აქვს ზედმეტი წონა – პანკრეატიტის განკურნების რისკის დამატებითი ფაქტორი. ბოსტნეულის ასეთ მოქმედებას მეცნიერები მიაწერენ იმას, რომ იგი მდიდარია ანტიოქსიდანტებით – ნივთიერებებით, რომლებიც იცავენ ორგანიზმის მთლიანად და კერძოდ კუჭქვეშა ჯირკვლის უჯრედებს მავნე გარე ზემოქმედებისგან. მათგან რომ რაც შეიძლება მეტი ანტიოქსიდანტები მივიღოთ, სასურველია ბოსტნეული იყოს ახალი.



### ცხელი დეპრესია

**სიცხეში ადამიანები უფრო აგრესიულები ხდებიან და თავს გრძნობენ დათრგუნულად, იტყობინებიან მეცნიერები ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტთან არსებული სამედიცინო ცენტრიდან. ცხელ ამინდში უარესდება ძილის ხარისხი, ორგანიზმი აქტიურად კარგავს ნესტს. ყოველივე ამის ტრანსფორმირება ხდება დეპრესიაში. თანაც ცხელ დღეებში ბევრს სახლში დარჩენა ურჩევნია, ოთხ კედელში კი დიდხანს ყოფნა სულაც არ აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას.**

განწყობილება რომ თუნდაც ოდნავ გავიუმჯობესოთ, მეცნიერები გვირჩევენ ვსვათ მეტი, აქტიურობის ძირითადი ნაწილი გადავიტანოთ ადრეულ დილაზე ან საღამოზე, აგრეთვე ყური დავუგდოთ ორგანიზმს და არაფერი გავაკეთოთ ისეთი, რაც მას ზიანს მიაყენებს.

### სირბილით – ინფარქტისგან

**ძუნძულით სირბილი სიცოცხლის ხანგრძლივობას ზრდის ხუთი წლით, დაადგინეს დანიელმა კარდიოლოგებმა.**

**გამოკვლევაში მონაწილეობისთვის, რომელიც 1976 წელს დაიწყო, შეარჩიეს 20-დან 93 წლამდე ასაკის 20 ათასზე მეტი ქალი და მამაკაცი. თითქმის ორი ათასი მოხალიძე რეგულარულად დარბოდა. ამ ჯგუფში სიკვდილის რისკი 44 პროცენტით დაბალი იყო, ვიდრე მათ შორის, ვინც არ დარბოდა. მორბენალი მამაკაცების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა აღმოჩნდა 6, 2 წლით მეტი, ქალებისა – 5, 6 წლით.**

მეცნიერებმა განსაზღვრეს, რომ გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკისთვის უნდა ვირბინოთ საშუალო ან დაბალ ტემპში კვირაში 2-3-ჯერ. სირბილის საერთო ხანგრძლივობა 1-2,5 საათი უნდა იყოს.

ის, რომ ფიზიკური აქტივობა ნებისმიერ სახეობაში – სირბილი, ველოსიპედით სეირნობა, ცეკვები გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა პროფილაქტიკაა – დაადასტურა უამრავმა გამოკვლევამ, – აღნიშნავენ სპეციალისტები. მხოლოდ უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ ადამიანი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ნაკლებად მოძრაობდა, მან უნდა დაიწყოს მცირე დატვირთვით და გაზარდოს იგი თანდათანობით.

იმ პირებმა კი, ვისაც აწუხებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებანი, კონსულტაციისთვის უნდა მიმართონ ექიმს და, შეიძლება, შეასრულონ ტესტი ფიზიკური დატვირთვით ველოერგომეტრზე ან ტრედმიტზე, რათა განსაზღვრონ, თუ აქტივობის რომელი დონე იქნება მათთვის სასარგებლო.

### თვალებს არ ვუფრთხილდებით



**უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში მხედველობის პროფილაქტიკა, მაგალითად, რუსეთში მოსახლეობის მხოლოდ იმ 33 პროცენტმა გაიარა, ვინც მონაწილეობა მიიღო გამოკითხვაში, რომელიც მოეწყო გლობალური გამოკითხვის ფარგლებში ხალხის თვალების ჯანმრთელობისადმი დამოკიდებულების გასარკვევად. ამ გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღო 11 ათასზე მეტმა რესპონდენტმა მსოფლიოს 11 ქვეყნიდან.**

რუსეთელებს მიაჩნიათ, რომ მხედველობის დაკარგვა უფრო მეტად აუარესებს ცხოვრების ხარისხს, ვიდრე დიაბეტი, ჰიპერტონია, სმენის დაკარგვა. მაგრამ ოფთალმოლოგთან მიდიან იშვიათად: რუსეთელთა 25 პროცენტმა განაცხადა, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ამ ექიმთან ერთხელაც არ მოსულან.

(თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა ჩვენთანაც, საქართველოში – **„სრ“ რედაქცია**).

### გამოკითხვა

**როგორ აღწევთ თავს ცუდ განწყობილებას?**

13 პროცენტი – მივდივარ სახეტიალოდ მარტო
13 პროცენტი – ვსვამ ღვინოს ან არაყს
10 პროცენტი – ვუყვირივარ ახლობლებს ან ხელქვეითებს
10 პროცენტი – უაზროდ ვუყურებ ტელევიზორს
8 პროცენტი – ვლაყბობ მეგობრებთან
7 პროცენტი – ვტირი
7 პროცენტი – ვჭამ ბევრ ტკბილეულს
7 პროცენტი – მძინავს
6 პროცენტი – სიგარეტს სიგარეტზე ვეწევი
1,9 პროცენტი – არაფერს ვაკეთებ.
მთლიანად გამოკითხვაში მონაწილეობა 2682 კაცმა მიიღო.

ЗДОРОВЬЕ

## დაიჯესტი

### ხელოვნების ნიმუში... გვამები

**ანტვერპენის პოლიციამ ერთ-ერთ ანტიკვარიატით მოვაჭრეს ქვეყანაში სამი ათასი წლის მუმიის შეტანის ნება არ დართო. საამისოდ სამართალდამცველებს კანონიერი საფუძველი ჰქონდათ: გვამებით ვაჭრობა აკრძალულია.**

ანტიკვარმა პოლიციას იუსტიციის სამინისტროში უჩივლა. დიდი ტვინის ჭყლეტის შემდეგ იურისპრუდენციის „სარდლობამ“ გადაწყვიტა, რომ „სამი



ათასი წლის გვამები, ხანდაზმულობის ვადის გავლის გამო, გვამები კი აღარ არიან ამ სიტყვის ზოგადად მიღებული გაგებით, არამედ ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენენ“.

### იდუმალი „ქლალი მოქცევები“

**ჯერ კიდევ 1890 წელს ავსტრალიური პრესა აჭრელებული იყო ცნობებით იმის თაობაზე, რომ „სისხლიანმა მდინარეებმა“ სიდნეის ყურეში მთელი თევზი დახოცეს.**

მას შემდეგ საუკუნეზე მეტი დრო გავიდა და ამ ხნის მანძილზე ინდოეთისა და წყნარი ოკეანეების ქვეყნების – ინდოეთის, მალაიზიის, ინდონეზიის, პაპუა-ახალი გვინეის, ტაილანდის, ფიჯისა და კიდევ მრავალი სხვის ნაპირებთან არაერთი „ქლალი მოქცევა“ დააფიქსირეს. უბედურება კი ისაა, რომ ყოველ ჯერზე პლანქტონის, ანუ უწვრილეს ზღვის ბინადართა შემოსევას დანარჩენი ფაუნის, ასევე ადამიანების დაღუპვა მოყვებოდა.

ამ პრობლემის შემსწავლელი მეცნიერები აცხადებენ, რომ შხამიანი მოქცევები ასევე შეიძლება იყოს ყავისფერი, ყვითელი ან მწვანე ფერის, თანაც მათი რიცხვი ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე მკვეთრად გაიზარდა, მაგრამ ვერც მათი პერიოდულობის, ვერც გამომწვევი მიზეზის დადგენა ვერაფრით ვერ მოხერხდა.





### უებარი წამალი

**სტოკჰოლმის ერთ-ერთ გაზეთში ხანდაზმულმა მეზღვაურმა რონალდ სოდერსტრიომმა განცხადება გამოაქვეყნა, რომლითაც ხალხს აგებინებდა, რომ ზღვის ავადმყოფობის (ანუ ზღვაში გულისრევის) წინააღმდეგ უებარი წამალი გამოიგონა.**

წამალი იაფი ღირდა, მხოლოდ ერთი კრონა, ამიტომ ბევრი მკითხველი დაინტერესდა და ბევრ ზღვაოსანს ფული გაუგზავნა. პასუხად ყველამ ერთი და იგივე შინაარსის წერილი მიიღო: „ზღვის ავადმყოფობის უებარი წამალია ნაპირზე დარჩენა“.

### სამხილია საღებავი

**ერთ-ერთმა ბრიტანულმა ფირმამ საღებავის გამოშვება დაიწყო, რომლის... სამხილად გამოყენებაა შესაძლებელი.** საქმე ის არის, რომ მის ქიმიურ შემადგენლობას ერთგვარი „პასპორტის“ როლის შესრულება შეუძლია, ვინაიდან მას თითოეული დაკვეთისთვის ინდივიდუალურად ისე არჩევენ, რომ ფერზე არანაირ ზემოქმედებას არ ახდენს. ამ შემადგენლობის საღებავით შეღებილი ნივთის ცნობა იმ შემთხვევაშიც კია შესაძლებელი, მას საღებავსაც თუ გადააცლიან, ხოლო ქურდობისას ეს უტყუარი სამხილი იქნება.



### კაცს ლუპა რომ არ ექნებაო...

**ნიუ-იორკის ერთ-ერთ გაზეთში სქელ ჩარჩოში პატარა განცხადება გამოქვეყნდა. იგი ისეთი წვრილი შრიფტით იყო აწყობილი, რომ შეუიარაღებელი თვალით მისი წაკითხვა შეუძლებელი იყო.** იმ მკითხველებმა კი, ვინც განცხადების წასაკითხად სხვადასხვა ოპტიკური ხელსაწყო გამოიყენა, წაიკითხეს: „ვლადიმერი გირჩევთ: სახლშიც და სამსახურშიც აუცილებლად უნდა იქონიოთ ლუპა!“



## ჩვენი პრესდაიჯესტი

### ჟურნალ-გაზეთებიდან



### ოპოზიციის ნაწილი საერთაშორისო დამკვირვებლებს არ ენდობა

საპარლამენტო არჩევნების საერთაშორისო დამკვირვებლებს ოპოზიციის ნაწილი უნდობლობას უცხადებს, ნაწილი კი პირიქით ფიქრობს და იმედოვნებს, რომ მათი დასკვნა ობიექტური იქნება. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დამკვირვებლების გამოსაგზავნად სპეციალური მიწვევა უკვე 50-მდე ქვეყანას გაუგზავნა.

„დამკვირვებელი ნახევარი საათით უბანში რომ შევა, იმან რა უნდა გაარკვიოს. ვენდობი იმ დამკვირვებელს, ვინც უნდა იყოს იგი, რომელიც კი არ ივლის უბნებში, არამედ მთელი დღის განმავლობაში ერთ უბანში იქნება და იქ დააკვირდება არჩევნებს“, – მიაჩნია თემურ შაშიაშვილს.

„რეზონანსი“.

### „ამომრჩეველთა სია ნახევარი მილიონი კაცით ხელოვნურადაა გაბერილი!“

აცხადებს „ამომრჩეველთა ლიგის“ ერთ-ერთი ლიდერი კოკა გუნცაძე. იგი ირწმუნება, რომ ამომრჩეველთა ერთიან სიაში საზღვარგარეთ გასული ქართველების ხარჯზე სერიოზული დეფიციტია, სია კი ნახევარი მილიონი ადამიანით ხელოვნურადაა გაბერილი. „ამომრჩეველთა ლიგა“ მალე ცესკოს აკრედიტაციის მოთხოვნით მიმართავს და იმის მიხედვით იმოქმედებს, პასუხი დადებითი იქნება თუ უარყოფითი.

„ვერსია“.

### ლადო ვარძელაშვილმა აღიარა, რომ დანაშაულს ხელი დააფარა

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი ლადო ვარძელაშვილი უარყოფს ინფორმაციას, რომ ლონდონის ოლიმპიადის მონაწილე ბეთქილ შუკვანთან რაიმე სახის კონფლიქტი ჰქონდა. მინისტრი ამბობს, რომ კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში შუკვანი ოლიმპიადაზე ვერ მოხვდებოდა.

„არ ვაპირებდი ამის თქმას, მაგრამ ახლა ვიტყვი: გერმანიაში ვიყავით ტურნირზე და ბეთქილ შუკვანმა ერთ-ერთ სპორტსმენთან ერთად მაღაზიიდან ნივთები მოიპარა, მაგრამ ხელი დავაფარე და არსად მითქვამს. მის მიმართ აგრესია რომ მქონოდა, ამას არ გავაკეთებდი“, – ამბობს ვარძელაშვილი.

„ახალი თაობა“.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

**ძალიან სასარგებლო რჩევა მამაკაცებისთვის.**

**თუ უკნიდან თვალებზე რბილი ხელები აგაფარეს, ზურგზე სავსე მკერდი და გათქვირებული მუცელი მოგებჯინათ, ყურში კი ჩაგჩურჩულეს „აბა, გამოიცანი, ვინ ვარ?“,... ნებისმიერ შემთხვევაში უპასუხეთ: „მიხო, შენა ხარ?“. გვერწმუნეთ, ასე აჯობებს.**

* * *

**– სად აპირებთ დასასვენებლად წასვლას?**

**– ცოლთან ერთად გადავხედეთ ჩვენს ბიუჯეტს და დავასკვენით, რომ არ დავღლილვართ!**

* * *

**სულელური ჩვევაა დილით ადრე ადგომა და სამუშაოდ წასვლა. სიგარეტსა და არაყზე ნაკლებად არ გკლავს, სიამოვნებას კი საერთოდ ვერ გრძნობ...**



**მოხუცი გერმანელი პასტორთან მივიდა და ეუბნება:**

**– მინდა, რომ მოვინანიო. ომის დროს ჩემს სარდაფში ებრაელს ვმალავდი.**

**– მერე რა არის ამაში მოსანანიებელი, შვილო ჩემო. პირიქით, ღვთისნიერი საქციელი ჩაგიდენია.**

**– მაგრამ მე მას ფულს ვართმევდი...**

**– არც ეს არის დიდი ცოდვა. შენ იგი გადაარჩინე, აჭმევდი.**

**– მაგრამ მისთვის არ მითქვამს, რომ ომი დამთავრდა და ფულსაც დღემდე ვართმევ...**

**– რას ამბობ?! ახლავე გამოუშვი ის უბედური!**

**გერმანელი სახლში დაბრუნდა, სარდაფში ჩავიდა და მონანიება დაიწყო.**

**– და შენ გგონია, მე არ ვიცოდი, რომ ომი დამთარდა? – შეაწყვეტინა მას ებრაელმა. – ძალიან კარგადაც ვიცოდი და ღმერთს ვევედრებოდი, რომ შენ ჩემთვის ქირა არ გაგეძვირებინა!**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორის მაგიერ
რუსლან რუსია
299-62-77;
599 17-21-21

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24